ეროვნული ბიბლიოთეკა „ეროვნული“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№5 (900) 29 - 30 იანვარი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„სოკარმა“ ევროსტანდარტების შესაბამისი ავტოგასამართი სადგური ზუგდიდში გახსნა

გვ. 3

SOCAR GEORGIA PETROLEUM

დავით საგანელიძე

„ჩემს აზრს ყველასა და ყველაფერზე, ყოველთვის ღიად დავაფიქსირებ და არც კოჭს გავუგორებ ვინმეს!“

გვ. 3

კანონდამრღვევი დეპუტატები და მათი ბიზნესინტერესები

გვ. 7

„ყაზტრანსგაზთბილისი“ აბონენტებს გაზის ტარიფს ორჯერ ახდევინებს?!

მრიცხველი: 407276 ტარიფი: 0.456196 (მოსახლეობა)

თარიღი	ჩვენების ტიპი	ჩვენება	კოეფ.	კუბ.მ.	თანხა
03.01.2014	ჩვენება	6,975.00			
24.01.2014	ჩვენება	7,411.00	1.00	436	198.90

სულ მიმდინარე დარიცხვა:	389.59
ძველი დავალიანება:	127.63
გადახდილი თანხა:	319.00
სულ გადასახდელი:	198.22
გადახდის ბოლო ვადა:	10.02.2014

ტარიფის გადახდის რა მექანიზმი შეიმუშავა კომპანიამ ახალი წლის დღეებში და რას პასუხობს დაზარალებულებს ენერგოომბუდსმენი

გვ. 9

ფეხმძიმე ქალის ალკოჰოლიზაცია და მისი უარყოფითი გავლენა ბავშვისა და მოზარდის ფსიქიკაზე

გვ. 10

ევროინტეგრაციას ვემხრობით, მაგრამ არ ვიცით, რატომ

საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ევროკავშირის შესახებ სწორი ინფორმაცია არ აქვს და იზრდება მათი რიცხვი, ვისაც რუსეთი საქართველოს მტრად არ მიაჩნია!

მეცნიერების ურთიერთსაპირისპირო „სიმართლე“ საყდრისის შესახებ

გვ. 5

შეეძლო თუ არა ქრისტესშობამდე IV ათასწლეულში ადამიანს საბადოდან უხილავი ოქროს ამოღება და არის თუ არა საყდრისი-ყაჩალიანის ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი

„ხაიშში ვიღაც წყალს რომ ამღვრევს, ფაქტია“

ხაიშში, 30-მდე ადამიანი სატყეო დეპარტამენტის შენობასთან შეიკრიბა. ხაიშელები აცხადებენ, რომ ისინი ხუდონჰესის მშენებლობის უფლებას არავის მისცემენ და კატეგორიულად მოითხოვენ ხელისუფლებისგან დათმობებზე წასვლას. გაისმა მუქარაც, იმ შემთხვევაში, თუ ამზომველები იქ ჩასვლას გაბედავენ. მათი თქმით, არ გატეხენ ფიცს და კომპანიას მათ ცხედრებსა და ძვლებზე მოუწევს ხუდონჰესის აშენება. ხაიშში მიმდინარე მოვლენებზე, „გურია ნიუსს“ სამეგრელო ზემო სვანეთის გუბერნატორი, ლევან შონია ესაუბრება.

— ჯერ ამზომველები არც მისულან დანიშნულების ადგილზე. იქ 40-მდე კაცია შეკრებილი და ამზომველების ჩასვლას აპროტესტებენ, რაც აბსურდად მიმაჩნია. ხაიშში ვიღაც წყალს რომ ამღვრევს, ფაქტია და ახლავე აგიხსნით, რატომ. ამზომველი მიდის, მათ ინტერესებს იცავს, რადგან იქ უმეტესობას მიწა დაკანონებული არ აქვს და ესენი კი აპროტესტებენ. ამ დროს, ხუდონჰესის ინვესტორი კომპანია ეუბნება ამ ხალხს — დაგიკანონებ, დაგირეგისტრირებ მიწას, ამის მერე, გინდა, მომყიდე და გინდა, გადაწყვიტე, რას იზამო. წარმოიდგინეთ, საუბარია იმ მიწაზე, რომელიც საერთოდ არ არის ამ ხალხის კუთვნილება. ასეთი აბსურდი გაგიგიათ? მიწა არ არის მათი და არც დარეგისტრირება უნდათ. ვინმეს შეუძლია ამიხსნას, რა ლოგიკაა ამაში.

— ამ ყველაფერს ადგილობრივი რწმუნებულებიც ხელმძღვანელობენ, ამასთან დაკავშირებით, საქმის კურსში ხართ?

— როდესაც სახელმწიფო მოხელეს არ ესმის, რომ ეს ყველაფერი შედის ქვეყნის ინტერესებში, რაზე უნდა ელაპარაკო? მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ამ ხალხს ავუხსნათ, რისთვის კეთდება ეს, რა სარგებელი ექნებათ მათ და ქვეყანას. ვერ წარმოიდგენთ, რა მძიმე პირობებში ცხოვრობს იქ მოსახლეობა და როგორ უჭირთ. თუ უნდათ, იქ თანამედროვე სოფელს აუშენებენ, თავისი გათბობით, სპორტმოედნებით, ბაგა-ბაღით და ყველაფრით. მეც ვცხოვრობ საქართველოში, არც ბინა მაქვს და არც არაფერი. ამასწინათ ვამბობდი, ნეტა, ხაიშში მიწა მქონდეს-თქო.

— თქვენ ხომ არ გისაუბრიათ სოფლის რწმუნებულთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან?

— ვერ წარმოიდგინეთ, რა რთულია, როდესაც ასეთ საქმეს უკეთებენ ადამიანს და ის გეუბნება, არ მინდაო. თან მისი არ არის მიწა და თან არ გარეგისტრირებინებს. რეალურად, საუბარია რამდენიმე ადამიანის ინტერესზე, რომელიც ცდილობს, გავლენა მოახდინოს ხალხზე. არადა, ხალხს ძალიან უჭირს, საშინელ პირობებში უწვთ ცხოვრება.

— ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სამართალდამცველები უზრუნველყოფენ თუ არა ამზომველების უსაფრთხოებას, რომელთა მისამართით უკვე გაისმა მუქარა?

— უზრუნველვყოფთ... სამართალდამცველების ფუნქციაში ვერ ჩავერევი, მაგრამ გეტყვით, რომ ორი დღის წინ, სამხარეოს უფროსი იყო ასული და ამ ხალხს ელაპარაკა. სთხოვა მათ, ხელი არ შეეშალათ ამზომველებისთვის. ახლა იმასაც ამბობენ, სამხარეოს უფროსი გვემუქრებოდაო. არადა, პირიქით იყო, მათგან მოდიოდა აგრესია, რაც სამხარეოს უფროსმა მოითმინა და კიდევ ერთხელ სთხოვა, ხელი არ შეეშალათ ამზომველებისთვის, მათი კანონიერი უფლების განსახორციელებლად. ისიც კი უთხრა, თუ არ გინდათ აზომვა, უთხარით და სხვა ოჯახში გადავაო. იქნებ, სხვები თანახმა არიან? რატომ არ უშვებ ამ ხალხს? საერთო ჯამში, ხელისუფლება ყველა ღონეს მიმართავს, რომ ყველაფერი განხორციელდეს კანონიერად.

2015 წლის 1 მარტიდან ავტომობილების ტექნიკურ დათვალიერებას TUV Rheinland Group უზრუნველყოფს

როგორც ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ, ნათია მიქელაძემ მთავრობის კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, აღნიშნულ კომპანიასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მისივე თქმით, კომპანია TUV Rheinland Group დღეისთვის მსოფლიოს 61 ქვეყანაში 500-ზე მეტ ფილიალს მოიცავს და მისი წლიური ბრუნვა 1,3 მლრდ ევროს აღემატება. მიქელაძემ განმარტა, თუ რატომ მიენიჭა აღნიშნულ კომპანიას უპირატესობა: **„უპირატესობა იქიდან გამომდინარე მიენიჭა, რომ ტესტირების პროცესი გარანტირებულად დადგენილ დროში და საჭირო სიმძლავრეებით დაიწყოს, რაც არა მხოლოდ უზრუნველყოფს ტესტირების ხარისხის გაზრდას, არამედ სისტემაში კორუფციის მაქსიმალურ პრევენციას მოახდენს და ქვეყანაში დამატებითი ინვესტიციების შემოდინებას შეუწყობს ხელს“**. მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, საქართველოში, დაახლოებით, 900 000-მდე მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებაა რეგისტრირებული და აღნიშნული რიცხვი 2015 წლის 1 მარტამდე კიდევ უფრო გაიზრდება. ბრიფინგს შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს უფროსი ოთარ დანელიაც ესწრებოდა, რომელმაც აღნიშნა, რომ შერჩეული კომპანიის სამუშაო ჯგუფი საქართველოში მიმდინარე კვირაში ჩამოვა, რის შემდეგაც უკვე უფრო მაღალი დონის დელეგაცია ეწვევა ქვეყანას და ხელშეკრულების პირობები დაზუსტდება. კითხვაზე, რა პერიოდულობით იქნება საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერება და რა ეღირება აღნიშნული მომსახურება, ოთარ დანელიას თქმით, ჯერჯერობით, უცნობია. ეკონომიკის მინისტრის მოადგილე კი განმარტავს, რომ ტექნიკური დათვალიერების საფასურში საქართველოს მოსახლეობის შესაძლებლობები იქნება გათვალისწინებული. ცნობისთვის, ევროკაშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველოს ვალდებულება აქვს აღებული, რომ ყველა ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობა ევროსტანდარტებთან მოვიდეს შესაბამისობაში.

„პია“

საქართველოს პრეზიდენტს დეპუტატები თებერვალში მოუსმენენ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, პრეზიდენტი მარგველაშვილი მზად არის პარლამენტში მოსასვლელად, დეპუტატები მას თებერვალში მოუსმენენ.

„ამ თემაზე აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს. პრეზიდენტის მოსმენა მოხდება საგაზაფხულო სესიის პირველ, მეორე თუ მესამე დღეს, ჯერ გადაწყვეტილი არ არის“, — აღნიშნა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, სავარაუდოდ, კვირის ბოლომდე გახდება ცნობილი, კონკრეტულად როდის მივა პრეზიდენტი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

„ინტერპრესნიუსი“

„საქართველომ სამოქალაქო და სამხედრო სფეროში რეფორმები უნდა განაგრძოს“

ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი წლიურ ანგარიშში საქართველოს მიერ განსახორციელებელ რეფორმებზე საუბრობს.

„განსაკუთრებით, ახლო ურთიერთობები შენარჩუნდა 4 პარტნიორ ქვეყანასთან — ბოსნია და ჰერცეგოვინა, მონტენეგრო, მაკედონია და საქართველო. 2013 წელს, ამ ქვეყნებმა, რეფორმების გატარების კუთხით, პროგრესს მიაღწიეს, ნატო-ს სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, თუმცა ალიანსის წევრობისკენ სწრაფვისთვის შემდგომი პროგრესის მიღწევაა საჭირო. რაც შეეხება საქართველოს, მან სამოქალაქო და სამხედრო სფეროში რეფორმები უნდა განაგრძოს როგორც ეს წლიურ ეროვნულ პროგრამაშია ასახული“, — ნათქვამია ანგარიშში, რომელიც ევროატლანტიკური ალიანსის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

„პია“

„ნიკოლაი აზაროვის გადადგომა ნაბიჯია გამარჯვებისკენ!“

28 იანვარს, უკრაინაში, კიევში, მაიდანსა და გრუშევსკის ქუჩაზე, ვითარება მშვიდია. მაიდანზე საპროტესტო აქციაში 3 500-მდე ადამიანი მონაწილეობს. სააგენტო „უნიანის“ ცნობით, უშუალოდ, სცენასთან 500-მდე მომიტინგე იმყოფება და ვიაჩესლავ ჩორნოვილის შესახებ გადაღებულ ფილმს უყურებს. უკრაინული მედიის ინფორმაციით, რამდენიმე ასეული დემონსტრანტი იმყოფება გრუშევსკის ქუჩაზეც. ისინი კასრებში ანთებულ ცეცხლთან თბებიან, ასევე რამდენიმე ადგილას იწვის საბურავები.

ვნებათაღელვაა უკრაინის რადაში. საკანონმდებლო ორგანომ 16 იანვარს მიღებული კანონების უმრავლესობა გააუქმა, რომლის თანახმადაც, ქვეყანაში მიტინგების გამართვის წესები გამკაცრდა და სწორედ მათი მიღების შემდეგ დაიწყო კიევში, გრუშევსკის ქუჩაზე დაპირისპირებები ძალოვნებსა და აქციის მონაწილეებს შორის. უკრაინის უმაღლესი რადას გადაწყვეტილებით, 11 კანონიდან 9 გაუქმებულია, რასაც დეპუტატები აპლოდისმენტებით შეხვდნენ. აღსანიშნავია, რომ უმაღლეს რადაში იმყოფებოდნენ უკრაინის ყოფილი პრეზიდენტები: ლეონიდ კრავჩუკი, ლეონიდ კუჩმა და ვიქტორ იუშჩენკო.

უკრაინული მედია იუწყება, რომ უკრაინის პრემიერი პოსტიდან გადადგა — ნიკოლაი აზაროვმა თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება თავად დაწერა.

„კონფლიქტური ვითარება, რომელიც სახელმწიფოში შეიქმნა, უკრაინის ეკონომიკასა და სოციალურ განვითარებას ემუქრება, შეიცავს საფრთხეს სრულიად უკრაინული საზოგადოებისა და თითოეული მოქალაქისთვის. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით და ვაკეთებთ, რომ არ დავუშვათ სისხლისღვრა, ძალადობის ესკალაცია, ადამიანების უფლებების დარღვევა. ექსტრემალურ პირობებში ხელისუფლებამ უზრუნველყო ეკონომიკისა და სოციალური დაცვის სისტემა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური კომპრომისის დამატებითი შესაძლებლობების შექმნის მიზნით,

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით, მივიღე პირადი გადაწყვეტილება, უკრაინის პრეზიდენტს უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გათავისუფლების თხოვნით მივმართო“, — ნათქვამია ნიკოლაი აზაროვის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ოპოზიციის ლიდერი და ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ვიტალი კლიჩკო ნიკოლაი აზაროვის გადადგომას გამარჯვებისკენ გადადგმულ ნაბიჯად აფასებს. როგორც პარტია „უდარის“ ლიდერი აცხადებს, პრემიერი ნიკოლაი აზაროვი გადადგა იმის გამო, რომ სახე შეინარჩუნოს, დღის წესრიგში კი მთავრობის გადადგომისა და პასუხისმგებლობის საკითხი დგას. ის, რაც უკრაინის ქუჩებში ხდება, დღევანდელი მთავრობის მუშაობის შედეგია, ამიტომ აუცილებელია ამაზე პასუხისმგებლობა უკრაინის მთელმა მთავრობამ აიღოს.

„ვერსიანიუსი“

დავით საგანელიძე: „ჩემს აზრს ყველასა და ყველაფერზე, ყოველთვის ღიად დავაფიქსირებ და არც კოჭს გავუგორებ ვინმეს!“

ბრუსულან შელია
557-100-768

დავით საგანელიძე გავრცელებულ ინფორმაციას „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილ „აგენტებთან“ დაკავშირებით, კიდევ ერთხელ ააქტიურებს და ახლადდანიშნულ მთავარ პროკურორს გამოქვეყნებული მასალის გამოძიებისკენ საჯაროდ მოუწოდებს. აგენტობის დამტკიცების შემთხვევაში კი, არამხოლოდ პოლიტიკიდან, ქვეყნიდან წასვლის პირობასაც დებს. რატომ დაუპირისპირდა საპრეზიდენტო არჩევნებამდე მაჟორიტარ დეპუტატებს, ვინ ებრძვის გუნდში და როდის დაუბრუნდება პროფესიას, „ვერსიის“ კითხვებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე პასუხობს.

— სანამ პროკურატურა ელისო კილაძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას არ გადაამოწმებს და არ დაადგენს, რეალურად, არსებობენ თუ არა უმრავლესობაში ჩანერგილი „აგენტები“, ეს თემა ჩემთვის აქტუალობას არასოდეს დაკარგავს. მართალია, აღნიშნული საკითხი პირადად მაწუხებს, მაგრამ პროკურატურის პოზიციაც აბსოლუტურად გაუგებარია. როცა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებზე მსგავსი ინფორმაცია ვრცელდება, როგორც მინიმუმ, უწყებამ მასალის შესწავლა უნდა დაიწყოს. შეურაცხყოფისთვის სასამართლოში სარჩელი შევიტანე, თუმცა ამის შემდეგ წინ ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა.

— ისიც ცნობილია, რომ ყოფილ მთავარ პროკურორს, არჩილ კბილაშვილს, გამოძიების დაწყების მიზნით, არაერთხელ შეხვდით. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს დღემდე საჯარო მიმართვებით ურთიერთობა რატომ გიხდებათ?

— არჩილ კბილაშვილსა და ლაშა ნაცვლიშვილს ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენჯერმე შევხვდი, თუმცა, რატომღაც, ისინი ჩემი მოთხოვნით არ დაინტერესებულან, ოთარ ფარცხალაძემდე მისვლა ვერ მოვასწარი, რადგან პროკურატურაში მხოლოდ ერთი თვე დაჰყო, ახალ მთავარ პროკურორს კი ჯერ არ ვიცნობ, ამიტომ თქვენი საშუალებით, საჯაროდ მივმართავ — გამოიძიეთ და დაადგინეთ, ვინ არის უმრავლესობაში ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩანერგილი აგენტი. პირადად მე, მზად ვარ, ელისო კილაძესთან ერთად, გამოძიებასთან მაქსიმალურად ვითანამშრომლო.

— თქვენთან ერთად, „აგენტთა სიაში“ „ქართული ოცნების“ რამდენიმე ლიდერიც დასახელდა, თუმცა მათ არც უცდიათ, საზოგადოებისთვის საპირისპირო დაემტკიცებინათ. თქვენ რატომ განაგრძობთ თავისმართლებას?

— შესაძლოა, ვიღაც მართლაც ფიქრობს, რომ თავისმართლების რეჟიმში ვარ, მაგრამ მირჩევნია, სიმართლის დასადგენად ამ გზით ვიბრძოლო, ვიდრე, თუნდაც, ერთ ადამიანს ეჭვი შეეპაროს, დათო საგანელიძე ნაციონალური მოძრაობის აგენტი იყოო.

დასასრული მე-4 გვერდზე

ირაკლი ღარიბაშვილი შიმონ პერესსა და ბენიამინ ნეთანიაჰუს შეხვდა

ისრაელში მიმდინარეობს საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც, იგი 28 იანვარს ისრაელის პრეზიდენტს შიმონ პერესს შეხვდა. მხარეებმა ისრაელსა და საქართველოს შორის არსებული მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობები განიხილეს და დააფიქსირეს მზადყოფნა ამ ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების შესახებ. ხაზი გაესვა ქართველ და ებრაელ ხალხს შორის არსებულ დიდ მეგობრობას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. შეხვედრაზე შიმონ პერესმა გამოთქვა კმაყოფილება საქართველო-ისრაელის მთავრობათაშორისი ერთობლივი ეკონომიკური კომისიის მიმდინარეობის შესახებ და გამოთქვა იმედი, რომ აღნიშნული კომისია იქნება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველო-ისრაელის ეკონომიკური, კულტურული და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებისთვის.

ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შეხვდა ისრაელის პრემიერ-მინისტრს, ბენიამინ ნეთანიაჰუს. როგორც საქართველოს პრემიერმა განაცხადა, საუბარი შეეხეო ორმხრივი ურთიერთობის აქტუალურ საკითხებს, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ თემებს. **„ჩატარდა ერთობლივი ეკონომიკური კომისიის პირველი სხდომა. მხარეებმა ხელი მოაწერეს ორ დოკუმენტს: თანამშრომლობის მემორანდუმსა და კომისიის სხდომის შედეგების ოქმს. კომისიის მიზანია, ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის მხარდაჭერა. ვცდილობთ, შევქმნათ ხელსაყრელი საფუძველი ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების გასაღრმავებლად მსოფლიოს მასშტაბით. შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მოლაპარაკებებს საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესახებ“.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კოლეგას მოწვევისთვის მადლობა გადაუხადა, თავის მხრივ, პრემიერის ვიზიტის შესახებ კმაყოფილება გამოხატა ბენიამინ ნეთანიაჰუმაც.

„ვერსიანიუსი“

„სოკარმა“ ევროსტანდარტების შესაბამისი ავტოგასამართი სადგური ზუგდიდში გახსნა

კომპანია „სოკარი“ ავტოგასამართი ქსელის განვითარებას სწრაფად და ეფექტურად ახორციელებს. საუკეთესო ტექნიკით აღჭურვილი ავტოგასამართი სადგურები საქართველოს ყველა რეგიონის მნიშვნელოვან და სტრატეგიულ წერტილშია განთავსებული. გასულ კვირას კიდევ ერთი, ევროსტანდარტების შესაბამისი, რიგით 107-ე ავტოგასამართი და რიგით მე-12 გაზგასამართი სადგური ქ. ზუგდიდში, კონკრეტულად კი, ჭითაწყარში „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ დირექტორმა, დავით ზუბიტაშვილმა გახსნა. აღნიშნულ ავტოგასამართ სადგურზე მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა, შეიძინოს 5 ტიპის საავტომობილე საწვავი ან ბუნებრივი აირი.

„სოკარის“ როგორც სხვა ავტოგასამართი სადგურები, ეს ობიექტიც აღჭურვილია იაპონური ტექნიკის საწვავის გამშვები სვეტებით და გამოირჩევა მაღალი დონის მომსახურებით. სწორედ აღნიშნული ტექნიკა უზრუნველყოფს საწვავის ჩასხმას 100%-იანი სიზუსტით და საწვავის შეძენას უფრო მომგებიანს ხდის. ხოლო ავტოგაზგასამართი სადგური აღჭურვილია არგენტინული ბრენდი — Galileo-ს, ბოლო თაობის გაზსაკომპრესორო დანადგარებით, რომელიც უზრუნველყოფს სწრაფ, დასაშვებ დონეზე მაქსიმალურად მაღალი წნევით და რაც ყველაზე მთავარია, გაზის უსაფრთხოდ ჩაჭირხვნას მომხმარებლის ავტომობილში. მეტი გამავლიანობა და პროდუქტის ხარისხი „სოკარის“ მომხმარებლისთვის საუკეთესო ფასადაა ხელმისაწვდომი.

ავტოგასამართ სადგურზე 20-ზე მეტი ადამიანი დასაქმდა, რაც რეგიონისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი მონაცემია.

ავტოგასამართ სადგურზე ასევე განთავსებულია სუპერმარკეტი „ეს მარკეტს“.

სოკარი მომხმარებლებს ასევე ბონუსბარათებით მომსახურებას სთავაზობს და პროდუქტის შეძენის შემთხვევაში დაგროვებით ქულებს „ენერჯი ქარდზე“ ან „უნიქარდზე“ დაურიცხავს. ასევე, მძღოლებს შეუძლიათ, სრულიად უფასოდ ისარგებლონ სერვისბლოკებით, რაც უფრო კომფორტულსა და სასიამოვნოს ხდის „სოკარის“ ავტოგასამართ სადგურზე სტუმრობას.

შეგახსენებთ, რომ კომპანია „სოკარი“ 2006 წლის შემოდგომაზე შემოვიდა საქართველოს ნავთობბაზარზე და უკვე წლებია, ლიდერის პოზიციას არ თმობს. ბიუჯეტში ყველაზე მსხვილი გადამხდელის სტატუსის მქონე კომპანია თითოეული მომხმარებლის კომფორტზეა ორიენტირებული. მომხმარებლისთვის მოსახერხებელ და ქვეყნისთვის სტრატეგიულ წერტილებში გადანაწილებული ავტოგასამართი სადგურების ქსელი სრული კომფორტითა და მომსახურების მაღალი დონით გამოირჩევა. ისეთი ტრანზიტული მნიშვნელობის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მნიშვნელოვანია, ევროპული დონის ავტოგასამართი სადგურების არსებობა.

კომპანია „სოკარი“, როგორც ქვეყნის ძლიერი და ღირსეული პარტნიორი, შეუფერხებლად განაგრძობს ქვეყანაში ინვესტირებასა და ასობით ადამიანის დასაქმებას.

„ერი, რომელიც ევროპული ოჯახის წევრობაზე პრეტენზიას გამოთქვამს, ოლიგარქის ექსპერიმენტებს დუმილით არ უნდა შეეგუოს!“

ეროსუდან შელია
557-100-768

პრემიერის გადაწყვეტილებით, თანამდებობის პირების საბიუჯეტო ხარჯები მკაცრდება, თუმცა ნაციონალური მოძრაობა გარღვეული ბიუჯეტის ფონზე, ჩინოვნიკების მიერ ძვირადღირებული ავტომობილების შეძენაზე აპელირებს. პარტიისთვის აქტუალობას არც ვანო მერაბიშვილის განცხადება და დავით კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადირების საკითხი კარგავს, თუმცა, როგორც საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ წიკლაური განმარტავს, საფრანგეთის სასამართლო თავდაცვის ყოფილ მინისტრს საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს არ გადასცემს. ნუგზარ წიკლაური „ვერსიასთან“ პარტიის წინასაარჩევნო გეგმებზეც საუბრობს.

— წელიწადნახევრის განმავლობაში „ქართული ოცნების“ ლიდერებმა ენით აუწერელი ფუფუნების საგნები შეიძინეს, მათ შორის ავტომობილები, რომელთა ღირებულება 100 ათას დოლარს სცილდება. კი, ბატონო, შეიძინონ ყველაფერი, რაც მათ დისფუნქციურს არ გახდის და ეფექტურ მუშაობაში ხელს შეუწყობს, მაგრამ, როცა ქვეყნის ბიუჯეტი ერთი მილიარდი ლარითაა გარღვეული, მათ ქმედებებს ლოგიკური ახსნა არ აქვს.

— ყოფილი ჩინოვნიკების, მათ შორის, დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ არსებულ ბრალდებებს იარაღით ვაჭრობასა და სახელმწიფო ბიუჯეტის პარტიის სასარგებლოდ გამოყენების შესახებ, რა ლოგიკური ახსნა აქვს?

— არასოდეს დაგვიმალავს, რომ კეზერაშვილი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი იყო და პარტიას სხვადასხვა ფონდის მოძიებაში ეხმარებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება თავდაცვის ყოფილ მინისტრს იარაღით ვაჭრობაში ადანაშაულებს, ამ ეტაპზე, საფრანგეთის სამინისტრო მხოლოდ მისი საქართველოში ექსტრადირების საკითხს განიხილავს, სხვა ბრალდებებს კი არავინ სცნობს. საფრანგეთში ხედავენ, რომ საქართველოში დავით კეზერაშვილის საქმე დიდი ხანია სამართლებრივ ჩარჩოებს გასცდა და პოლიტიკურ საკითხად იქცა, ამიტომ, დარწმუნებული ვარ, დავით კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადირება არ მოხდება. შესაბამისად, „ქართული ოცნება“ ვერც ნაციონალური მოძრაობის განადგურებას შეძლებს, რისი სურვილიც დიდი ხანია აქვს.

— საზოგადოების ნაწილი კი ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის არსებულ პოლიტიკურ იდილიაზე წუხს. ხელისუფლების ზეწოლაზე საუბრის საფუძველს რა გაძლევთ?

— ჩვენს შორის პოლიტიკური იდილია ნამდვილად არ არსებობს, პირიქით, ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა სრულიად ნათელი სიგნალი გამოგიგზავნა — პროკურატურაში არსებული რიგების შეჩერება ნაციონალური მოძრაობის რიტორიკის ცვლილებაზე იქნება დამოკიდებული. ახლა ეს ადამიანი, არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით, საზოგადოებრივი აზრის დამორჩილებას ცდილობს. ბიძინა ივანიშვილმა გამოჩენა მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა, რომ სამოქალაქო სექტორი მთავრობით უკმაყოფილოა და კრიტიკულ შენიშვნებსაც არ ერიდება.

— ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ პრემიერის პოსტიდან გადადგომამდე განაცხადა, არსად მივდივარ, პირიქით, 20 წლით მოვდივარო. „მოქალაქის“ დაფუძნება თქვენთვის სიახლე რატომ აღმოჩნდა?

— დიდი ხანია, ისედაც ვიცით, რომ დღემდე ქვეყანას, რეალურად, ბიძინა ივანიშვილი მართავს, მისი თანხმობის გარეშე, არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ წყდება, ამიტომაც სისულელეა საუბარი, რომ ივანიშვილი მის მიერ დანიშნულ მთავრობას სამოქალაქო სექტორიდან შეეწინააღმდეგება. ფონდი რომ შეექმნა და უკვე არსებული ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციები დაეფინანსებინა, სამოქალაქო სექტორის გაძლიერებაზე საუბარი შედარებით ლოგიკური იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილისგან დაფინანსების მიღების მიუხედავად, გამოცდილი ორგანიზაციები საკუთარ პრინციპებზე უარს არ იტყოდნენ. ახლა კი, მთავრობაცა და არასამთავრობო ორგანიზაციაც ერთი ადამიანის ხელში აღმოჩნდება. მალე ბიძინა ივანიშვილი იმასაც იტყვის, ხელოვნებასა და კულტურაშიც სხვებზე მეტი მესმისო და ქვეყანაც სამხრეთ კორეას დაემსგავსება. ახლა ყველაფერი საქართველოს მოსახლეობაზეა დამოკიდებული. ერი, რომელიც ევროპული ოჯახის წევრობაზე პრეტენზიას გამოთქვამს, ოლიგარქის ექსპერიმენტებს დუმილით არ უნდა შეეგუოს. „ქართული ოცნება“ ხალხს პირში ბურთის ჩასაჩრელად არ აურჩევია, არც ლარის კურსის ვარდნა უთხოვია ვინმეს. ფაქტია, ვითარება ციხეებშიც უკონტროლოა და პატიმრების უსაფრთხოების საკითხიც ეჭვქვეშ დადგა.

— თუ ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის ფაქტს გულისხმობთ, ოთარ ფარცხალაძემ მთავარი პროკურორის პოსტი დატოვა. ამ მხრივ, კიდევ რა მოთხოვნები გაქვთ?

— ოთარ ფარცხალაძეს არ უთქვამს, რომ თანამდებობიდან ვანო მერაბიშვილის განცხადების გამო გადადგა. მან, უბრალოდ, პოსტის შენარჩუნება ვეღარ მოახერხა, რადგან საზოგადოებამ ყაჩაღობასა და ქურდობაში ამხილა. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანას, სანამ ხელისუფლება სიმართლეს არ აღიარებს, ეს საკითხი აქტუალობას არასოდეს დაკარგავს. ჩვენთვის ყველაფერი ისედაც ნათელია, სიმართლის ამსახველი ფირები გაანადგურეს. სასჯელაღსრულების მინისტრმა კი რამდენჯერმე იცრუა — თავდაპირველად, აცხადებდა, რომ ვიდეოჩანაწერები ორი კვირის განმავლობაში ინახებოდა, შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ მტკიცებულებები თურმე 24 საათის შემდეგ წაიშალა. თუ ისეთ პოპულარულ პატიმარზე, როგორიც ვანო მერაბიშვილია, ძალადობას არ ერიდებიან, წარმომიდგენია, დანარჩენი მსჯავრდებულები რა დღეში ჰყავთ!

— შეგახსენებთ, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პირობებში დაღუპული პატიმრის, სერგო თეთრაძის საქმეზე სასამართლომ ციხის უფროსი და მისი მოადგილეები დამნაშავედ სცნო, დათა ახალაიას კი ორი ადამიანის წამებისთვის ბრალი დაუმძიმდა.

— დანაშაულის გამოვლენას მივესალმები, ეს აუცილებელია იმისთვის, რომ მსგავსი ფაქტები მომავალში აღარ განმეორდეს, თუმცა ნაციონალური მოძრაობის დანაშაულზე საუბარი პოლიტიკური სპეკულაციის საგანი გახდა. წელიწადნახევარია, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია, დიდი ხანია სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაწყების შესახებაც გვესმის, მმართველმა გუნდმა ყოფილი მინისტრები საჯაროდ ურჩხულებად და ჯალათებად მონათლა, თუმცა რეალურად, კორუფციის დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ ვიხილეთ. პროკურატურამ ვერ დაამტკიცა, რომ ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებს ბიუჯეტის ფული სახლში მიჰქონდათ ან ვინმეს აწამებდნენ. ერთადერთი, რაც მოახერხეს, კანონიერი ქურდების ჩვენებების საფუძველზე, ბაჩო ახალაიასთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა იყო. ისიც ერთ საქმეში. სამართლიანობის აღდგენაზე აპელირებით, ხელისუფლება ხალხს დიდხანს ვერ გამოკვებავს. მალე დადგება დრო, როცა მოსახლეობა დაპირებების შესრულებას — სამუშაო ადგილების შექმნას, ტარიფების განახევრებას, საწარმოების გახსნას — მწვავედ მოითხოვს. ნაციონალური მოძრაობის შეცდომებზე საუბრით კი ხელისუფლება სოციალურ პრობლემებს ვეღარ გადაფარავს.

დავით საგანელიძე: „ჩემს აზრს ყველასა და ყველაფერზე, ყოველთვის ღიად დავაფიქსირებ და არც კოჭს გავუგორებ ვინმეს!“

მე-3 გვერდიდან

საზოგადოებამ სიმართლე უნდა იცოდეს! მახსოვს, ვიდეო და აუდიოჩანაწერებით იმუქრებოდნენ... კი ბატონო, თუ ის მაჩვენებს ერთ დოკუმენტსაც კი, რომლითაც დამტკიცდება, რომ წლების განმავლობაში ორმაგ თამაშს ვთამაშობდი, პირობას ვდებ, არამხოლოდ პოლიტიკიდან, ქვეყნიდანაც კი წავალ, თუმცა მსგავსი მასალა თუ მტკიცებულება ბუნებაში არ არსებობს!

— პოლიტიკიდან წასვლაზე ახლაც ფიქრობთ?

— როცა პოლიტიკიდან ჩემი შესაძლო წასვლის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, ზოგიერთებმა ვიშვიში დაიწყეს — აი, ხომ ვამბობდით, საგანელიძე პოლიტიკიდან იმიტომ მიდის, რომ მართლაც აგენტიაო. არსად მივდივარ! სანამ სიმართლე არ გაირკვევა და სიცრუის ტირაჟირებისთვის ბოდიშს არ მოიხდიან, პოლიტიკაში ვრჩები. არ მინდა, ჩემს შვილებს პასუხგაუცემელი კითხვები დავუტოვო, თუმცა პოლიტიკაში მხოლოდ ეს საკითხი არ მაკავებს... წასვლაზე, რა თქმა უნდა, ვფიქრობდი და ვფიქრობ, მაგრამ ეს საბოლოო გადაწყვეტილება კი არა, მხოლოდ იდეის დონეზე იყო. მოგეხსენებათ, 50 წელს გადავცილდი, ოთხი მოწვევის პარლამენტის წევრი ვიყავი, ბოლო ორი არჩევნებიც საკმაოდ წარმატებით განვახორციელეთ, ამიტომ ახლა მინდა, გზა ახალგაზრდებს დავუთმო. სავარაუდოდ, მომავალი სამი წელი პოლიტიკაში დავრჩები, ამის შემდეგ კი, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აღარ მივიღებ და ჩემს პროფესიას დავუბრუნდები.

— კონფლიქტი იმ თანაგუნდელებთანაც ამოწურეთ, რომლებმაც თქვენს წინააღმდეგ საჩივრის წერილი ბიძინა ივანიშვილს მიწერეს?

— რა თქმა უნდა, ყოველგვარი კონფლიქტი თუ უთანხმოება დიდი ხანია ამოიწურა. ამ წერილის შესახებაც თავიდანვე ვიცოდი, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს სისულელე იყო. ახლა უკვე ამ თემებზე თავისუფლად საუბარი შემიძლია: დიახ, ვადასტურებ — საპრეზიდენტო არჩევნებამდე მაჟორიტარი დეპუტატები მთხოვდნენ, საარჩევნო შტაბებს ვუხელმძღვანელებთო, მაგრამ უარს ვეუბნებოდი, რადგან ამის საჭიროება, პრაქტიკულად, არ არსებობდა. მაჟორიტარი ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული დეპუტატია, შესაბამისად, მას რაიონში საკმაოდ დიდი გავლენა აქვს, ამიტომ შტაბის ჩაბარება აბსოლუტურად გაუმართლებელია. მათ ისედაც ჰქონდათ შესაძლებლობა, წინასაარჩევნო პროცესებში აქტიურად ჩართულიყვნენ. ჩვენს შორის უთანხმოების ძირითადი მიზეზი ეს იყო, მაგრამ მაშინ თითოეულ კითხვაზე ამომწურავი პასუხი გავეცი. სამწუხაროდ, ჩემი წინსვლა მხოლოდ უმცირესობაში კი არა, საპარლამენტო უმრავლესობაში მყოფ რამდენიმე ადამიანსაც არ უხარია, მაგრამ ასეთი ვარ და შეცვლასაც არ ვაპირებ. ჩემს აზრს ყველასა და ყველაფერზე, ყოველთვის ღიად დავაფიქსირებ და არც კოჭს გავუგორებ ვინმეს.

— მაშინ შეაფასეთ „ქართული ოცნების“ იმ მაღალჩინოსნების ქმედება, რომლებმაც თანამდებობაზე დანიშვნისთანავე, კომფორტული ავტომობილების შეძენაზე იზრუნეს და რისთვისაც ამ მიმართულებით კანონის მიღება აუცილებელი გახდა.

— წლების განმავლობაში რატომ არავინ ინტერესდებოდა იმით, ნაციონალური მოძრაობა ფეშენებელური ავტომობილებით რომ დადიოდა?! ბაჩო ახალაიას ძვირადღირებული მანქანების კოლონა ჰყავდა და ბიუჯეტს ისე ხარჯავდა, როგორც მოესურვებოდა.

— „ქართული ოცნების“ მიმართ გაჟღერებულ ბრალდებებზე პასუხად ნაციონალური მოძრაობის ქმედებების შეხსენება გამართლებულად მიგაჩნიათ?

— მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობა რეალურად შექმნა, რადგან დღეს ყველა ინფორმაცია მოქალაქეებისთვის გამჭვირვალე გახდა, ნაციონალური მოძრაობის დროს კი არავინ იცოდა, სამინისტროებში რა ხდებოდა. მაგალითად, იცოდა ვინმემ, რომ გიგა ბოკერია დაჯავშნული ავტომობილით დადიოდა? გეთანხმებით, ამ მიმართულებით კანონი, მართლაც, დასარეგულირებელია. პირადად მე, პარლამენტის კუთვნილებაში არსებული ჯიპის ტიპის ავტომობილი მემსახურება, რომელიც საერთოდ არაფერში მჭირდება. თბილისი-ქუთაისის გზაზე გადასაადგილებლად ბევრად იაფიან, სედანის ტიპის მანქანას ვამჯობინებდი, რომელსაც საწვავიც ნაკლები სჭირდება. პარადოქსია, თუმცა ონის რაიონის გამგებელი სედანით გადაადგილდება, არადა, იქ ისეთი გზებია, აუცილებლად ჯიპი ესაჭიროება. ასე რომ, ამ მიმართულებით მუშაობა დასაწყები იყო და კარგია, რომ, როგორც იქნა, საკითხის განხილვას საშველი დაადგა. ნაციონალური მოძრაობისგან განსხვავებით, საზოგადოების მოსაზრებებს მაქსიმალურად ვითვალისწინებთ, ამიტომაც მსუბუქი ავტომობილების ფასიც კი კანონით შეიზღუდება.

— რატომ არ ითვალისწინებთ არასაპარლამენტო ოპოზიციის შენიშვნებს, თვითმმართველობის არჩევნების ფონზე, საარჩევნო კოდექსის გასწორებას რომ ითხოვს?

— როცა ოპოზიცია იმ კომპრომისებზეც ისაუბრებს, რომელზეც უმრავლესობა წავიდა, მათ პრეტენზიებსაც მოვისმენ. რატომ არავინ ამბობს, რომ გამგებლისა და მერის თანამდებობა რეგიონებში არჩევითი გახდა? როცა ოპოზიციაში ვიყავით, თბილისის მერის პირდაპირი არჩევის დაკანონებას მძიმე ბრძოლის შედეგად მივაღწიეთ. მესმის, რადგანაც ოპოზიციაში ხარ, მხოლოდ ნეგატიური ინფორმაციები უნდა გაავრცელო, მაგრამ პრეტენზიები არგუმენტირებული უნდა იყოს.

— 40%-მდე ბარიერის დაწევასთან დაკავშირებით, უმრავლესობას რა არგუმენტი აქვს, შიშობთ, „ქართული ოცნება“ არჩევნებზე საკმარისი ხმების მოგროვებას ვეღარ მოახერხებს?

— თბილისის მერის საარჩევნო თამასა რომ ავწიეთ, მის ლეგიტიმაციას მნიშვნელოვნად გააძლიერებს და აამაღლებს. თანაც 50%-იანი ბარიერი მეორე ტურის აღბათობას ქმნის, რაც ტექნიკურ ხარჯებსა და დროის გაწელვასთანაა დაკავშირებული. „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში დამარცხების არ ეშინია. რა თქმა უნდა, წინასწარ არჩევნების შედეგებს ვერ განსაზღვრავ, ყველაფერს საარჩევნო უბნებში მისული ამომრჩეველი წყვეტს, თუმცა წინა არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, დარწმუნებული ვარ, თვითმმართველობის არჩევნებში ღირსეულ შედეგებს დავდებთ. ხალხი მხარს გვიჭერს, რასაც ყოველდღიურად ვგრძნობ!

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

მეცნიერების ურთიერთსაპირისპირო „სიმართლე“ საყდრისის შესახებ

შეეძლო თუ არა ქრისტესშობამდე IV ათასწლეულში ადამიანს საბადოდან უხილავი ოქროს ამოღება და არის თუ არა საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი

საყდრისის სკანდალი გრძელდება. მას შემდეგ, რაც კულტურის სამინისტრომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მოუხსნა, ქართული საზოგადოება ორად გაიყო — ნაწილი ამტკიცებს, რომ ობიექტს სტატუსი თავის დროზევე დაუმსახურებლად მიანიჭეს, ნაწილი კი ლოზუნგით — „დაიცავი საყდრისი“ — საპროტესტო აქციებს მართავს, ხელისუფლებას კი, იმ კომპანიის ლობირებაში ადანაშაულებს, რომელსაც საბადოზე ოქროს მოპოვების ლიცენზია აქვს. აზრთა ჭიდილში, კვლავ ბევრი კითხვისნიშანი რჩება, მათ შორის მთავარი — თავის დროზე, რა დასკვნის საფუძველზე ან რა მიზნით „გაძეგლდა“ საყდრისი და შეეძლო თუ არა ჩვ. წ. აღ-მდე IV ათასწლეულის ადამიანს მაღაროდან, უხილავი ოქროს მოპოვება? საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს შეუძლებელი იყო, „საყდრისის მითის“ შექმნა კი, წლების წინ, პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. არის თუ არა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და მსოფლიოში უძველესი ოქროს საბადო? — თემის პოლიტიზირება კიდევ ერთხელ რომ არ მოხდეს, ამ კითხვაზე პასუხი „ვერსიამ“ მეცნიერებს სთხოვა.

გიორგი გოგოჭური, ქართულ-გერმანული ექსპედიციის წევრი, არქეოლოგი:

— ჩვენი ოპონენტები ამბობენ, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტი არ არის უნიკალური ძეგლი. მოდი, ჩავატაროთ დამატებითი კვლევა-ძიება, რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, მართლები არიან თუ არა გერმანელი სპეციალისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქმე უნიკალურ ძეგლთან გვაქვს.

— გერმანელების დასკვნებს პირადად თუ გაეცანით, მათი კვლევები, ჯერჯერობით, არცაა ქართულად ნათარგმნი.

— ქართულად გვაქვს ყოველწლიური ანგარიშები. გათხრების დროს აღებულ სინჯებს ლაბორატორიული კვლევა გერმანიაში უტარდებოდა. ძირითადად, ბოხუმის უნივერსიტეტთან, სამთო მუზეუმთან ვთანამშრომლობთ. პროექტში ჩართული იყო ასევე რურის უნივერსიტეტი, საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრი, კემბრიჯისა და სხვა უნივერსიტეტების სპეციალისტები... აგერ, პროფესორ ანდრიას ჰაუფმანისა და პროფესორ თომას ტოლნერის მიერ მომზადებული ანგარიში მაქვს, სადაც წერია, რომ საყდრისის ოქროს მაღაროში მოიპოვებოდა ოქრო და არა სპილენძი და რომ ეს არის ერთადერთი უძველესი მაღარო მსოფლიოში, სადაც ხდებოდა ოქროს მოპოვება.

— თუ ასეთი დასკვნა გაქვთ, რატომ ამბობთ, კვლევა გავაგრძელოთ, რომ საყდრისის უნიკალობაში დავრწმუნდეთო?

— იმიტომ, რომ ოპონენტების ყველა კითხვას გაეცეს პასუხი. მეცნიერების ნაწილი გვეკითხება, ძვ. წ. აღრიცხვის IV ათასწლეულის საზოგადოებას ჰქონდა თუ არა ინტელექტუალური პოტენციალი, დაფარული, კვარცის ძარღვებში ჩართული ოქროს ნაწილაკები გამოეცალკევებინა?

— და ამ კითხვაზე თქვენი პასუხი დადებითია?

— ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურა სამეცნიერო ლიტერატურაში მტკვარ-არაქსის კულტურის სახელწოდებითაა ცნობილი. ეს კულტურა ყალიბდება ჩვ. წ-აღ-მდე IV ათასწლეულის II ნახევრიდან და მოდის, დაახლოებით, ჩვ. წ. აღ-მდე 28-27-ე საუკუნეებამდე. ახალი არქეოლოგიური დათარიღების მიხედვით, საყდრისში ოქროს მოპოვება ამ ჩარჩოებში მოექცა.

— ამ პერიოდის ოქროს ნაკეთობას არქეოლოგია არ იცნობს. რისთვის მოიპოვებდნენ მას და რაში იყენებდნენ?

— გეთანხმებით, ამ პერიოდის ოქროს ნაკეთობა აღმოჩენილი არ არის. მაშინდელი საზოგადოებისთვის ოქრო არ იყო იმდენად ფასეული, როგორც, მაგალითად, ბრინჯაოს ნაკეთობები, თუმცა ეს არ ნიშნავს, არ დავუშვათ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ამ პერიოდის ოქროს ნივთები საერთოდ არ არსებობს.

— იმის თქმა გინდათ, რომ შეიძლება, ამ პერიოდის ოქროს ნივთები, უბრალოდ, ჯერ არ აღმოგიჩენიათ არქეოლოგებს?

— დიახ. ჯერ არ გვაქვს ყველა რეგიონის ყველა არქეოლოგიური ძეგლი შესწავლილი. მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო საფეხურზე, ჩვ. წ. აღ-მდე დაახლოებით 28-27-ე საუკუნეების სამარხებში, უკვე გვხვდება ოქროს ნივთები. მცირე რაოდენობით, ძირითადად, რგოლების სახით, მაგრამ არის. რატომაა გამორიცხული, რომ საყდრისის საბადოში მოპოვებული ოქროსგან მიღებული ნივთები ჯერ კიდევ არ გვქონდეს აღმოჩენილი?

— ცოტა გაუგებარია, თუ მაშინდელი საზოგადოებისთვის ოქროს ნაკეთობები ფასეული არ იყო, მაღაროებში მის მოსაპოვებლად რატომ შევიდოდნენ, მით უმეტეს, ეს საკმაოდ რთული პროცესი იქნებოდა მათთვის.

— საინტერესო კითხვაა, მაგრამ საქართველო ხომ არ იყო იზოლირებული და გარესამყაროს მოწყვეტილი? ეთნოკულტურული ურთიერთობები ძალიან ადრეული ხანიდან დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე. ვგულისხმობ იმ ცივილიზაციებს, რომლებიც ამიერკავკასიის იქით წარმოიშვნენ და განვითარდნენ. ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე VI ათასწლეულის დასაწყისში, საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჩნდება შულავერ-შომუთეფეს კულტურა, რომელმაც სათავე ჩრდილომესოპოტამიური არქეოლოგიური კულტურებიდან აიღო.

— ანუ საყდრისის საბადოში ოქროს მოიპოვებდნენ და მისი გაცვლა ხდებოდა? ამ პერიოდში მონეტარული პოლიტიკა ხომ არ არსებობს? ისიც გაუგებარია, რაში ცვლიდნენ ჩვენი შორეული წინაპრები ოქროს?

— არ არსებობს, მაგრამ ეთნოკულტურული ურთიერთობები ყალიბდება. ჩვ. წ. აღ-მდე V ათასწლეულის ბოლოდან კი კიდევ ერთი ახალი ეთნოკულტურული იმპულსები იკვეთება — ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჩნდება სამხრეთ მესოპოტამიური კულტურა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, ურუქის კულტურის სახელწოდებით. საკმაოდ განვითარებული ცივილიზაციის მქონე ტომების კულტურა ხასიათდება ჩარხზე დამზადებული თიხის ჭურჭლით, ღიამოწითალო ფერის კერამიკით, მაღალგანვითარებული მეტალურგიით... ეს ტომები აღწევენ ამიერკავკასიის ტერიტორიამდე. აზერბაიჯანშიცაა ურუქის კულტურა გამოვლენილი და საქართველოშიც... ჩვენ, არქეოლოგები, ვაზროვნებთ არქეოლოგიური ძეგლებითა და არტეფაქტებით. მოცემულობა ასეთია: მაღარო არსებობს, მაღაროში აღმოჩენილია მტკვარ-არაქსის თიხის ჭურჭელი, რომელიც იქ მხოლოდ ოქროს მოპოვების დროს შეიძლებოდა მოხვედრილიყო. ასევე აღმოჩენილია ძვლის იარაღი, რიყის ურიები, რომლებსაც ოქროს ამოსაღებად იყენებდნენ.

— შეგიძლიათ, დაახლოებით, აღმიწეროთ პროცესი, დღეიდან 5400 წლის წინ, ამ „ოქროს ძარღვებს“ გაყოლილი ადამიანი, ოქროს როგორ მოიპოვებდა?

— მიყვებოდნენ ძარღვებს. ხდებოდა ქანების გაცხელება-დამტვრევა-გაციება და შემდეგ დაფქვა.

— და კვარცული ქანების მოსანგრევად მასზე ორჯერ მყიფე რიყის ქვებს იყენებდნენ?

— დიახ. გეოლოგები, რომლებიც კონსულტაციას გვიწევდნენ, ამბობენ, რომ ეს მეორადი ძარღვებია, რომელთა მონგრევაც ადვილია. არაა ისეთი სალი, მისი მონგრევა რიყის ურიებით ვერ შეძლო.

— ქანების დასარბილებლად ცეცხლს თუ იყენებდნენ, ადგილზე ნახშირის გროვები რატომ არაა აღმოჩენილი?

— ნახშირის კვალია აღმოჩენილი — ადგილები, საიდანაც ოქროს მოიპოვებდნენ, გაჭვარტლული და გაბოლილია. გარკვეულ ძარღვს ამოიღებდნენ, თუ იქ გამოცარიელებული ძარღვი იყო, ნარჩენებს, ფუჭ ქანებს იქვე ყრიდნენ და შევსებაში გადადიოდა. საყდრისი-ყაჩაღიანის საბადო მორფოლოგიურად განსხვავებულია — აქ ოქროს ძარღვებშია ჩართული სპილენძი და არა პირიქით. აქ ტექტონიკური ბზარები მანამდე იყო გაჩენილი, ვიდრე მაღაროს ოქროს დამუშავებას დაიწყებდნენ. არსებობს ასეთი ჰიპოთეზური მოსაზრება, რომ ზედა ფენასთან შედარებით, ქვემოთ მეტი რაოდენობის ოქროს ძარღვია. ეს იმიტომ, რომ ტექტონიკური ძვრებისას წარმოშობილ ნაპრალებში ჩასვლა და მოძრაობა უფრო ადვილი იყო. თუმცა, იქ ალბათ, შედარებით თხელი ადამიანი ჩავიდოდა, ვინც შედარებით ადვილად იმოძრავებდა... ასე რომ, ოქროს მოპოვების პროცესი, იმ პერიოდის ადამიანისთვის, ძალიან რთული იქნებოდა.

— თუ ასეა, რატომ მოიპოვებდა იმ პერიოდის ადამიანი ოქროს მაინცდამაინც საყდრისში და არა მისგან რამდენიმე ასეული მეტრით დაშორებულ ქვიშრობში, სადაც საყდრისისგან განსხვავებით, ხილული ოქრია?

— თქვენი არგუმენტი შეიძლება მისაღები იყოს, მაგრამ აქ რაოდენობაა გადამწყვეტი — საყდრისის საბადოდან მეტ ოქროს მოიპოვებდნენ. გარდა ამისა, იმ პერიოდში ქვიშრობის ანუ მდინარის ჩამოტანილი ოქროს მინარევებისგან გასუფთავების ტექნოლოგია არ იცოდნენ. იცით, რა არის ყველაზე ცუდი? — საყდრისის თემის გამო, არქეოლოგები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. არადა, მის უნიკალობაში ადრე არავის შეუტანია ეჭვი. სხვა თუ არაფერი, 27 მეტრამდე ჩადის სიღრმეში ის ძველი ნამუშევრები და იმის იქით რა ხდება, არავინ იცის. თუ დღეს ეს საბადო განადგურდება, დარჩება კიდევ მრავალი კითხვის ნიშანი. იმასაც ვეღარავინ გაიგებს, გერმანელებისა და ქართველების ერთობლივი კვლევა ობიექტურად ჩატარდა თუ არა.

დასასრული მე-6 გვერდზე



„ძნელი დასაჯერებელია, რომ ევროკავშირის ჩინოსანი უმართავი გახდა და საკუთარ აზრებს აფრქვევს“



მერაბ ბერიძე
599-45-50-26

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა, ალექსანდრე ანქვაბმა ფილიპ ლეფორს „ობიექტური მუშაობისთვის“ მადლობა გადაუხადა. როგორც აფხაზური მედია იუწყება, ფილიპ ლეფორმა, რომელსაც სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლისა და ჟენევის მოლაპარაკებებში ერთ-ერთი თანათავმჯდომარის მანდატი ამოეწურა, გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა სოხუმში, აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტთან.

ანქვაბმა ლეფორს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ „ობიექტურობას“ მათ მიმართ არცთუ ხშირად აქვს ადგილი. ალექსანდრე ანქვაბმა ფილიპ ლეფორს ეკლესიების გამოსახულებებიანი ვერცხლის მონეტები უსახსოვრა. **„ყოველთვის მოხარულები ვიქნებით, გიხილოთ აფხაზეთში პირადი ვიზიტით“,** — განაცხადა ანქვაბმა. მანამდე, ფილიპ ლეფორი ცხინვალს ესტუმრა და იქ გაკეთებული განცხადების გამო, თბილისში ახსნა-განმარტების მიცემა მოუწია. ოსური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ლეფორმა იქ განაცხადა, რომ „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობას დამოუკიდებელი არჩევანი გაკეთებული აქვს და ეს ეჭვს არ იწვევს, ხოლო თბილისში დიპლომატი ხაზს უსვამს, რომ ევროკავშირს არაღიარების პოლიტიკა ეჭვქვეშ არ დაუყენებია. ამ პოზიციასა და მოსალოდნელ შედეგებზე „ვერსია“ პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძეს** ესაუბრება.

– ბატონო სოსო, რატომ გააკეთა ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა ცხინვალში თბილისისთვის მიუღებელი განცხადებები?

– უპირველესად, ფილიპ ლეფორი თავის საქმიანობას ამთავრებს და გამოსამშვიდობებელ ვიზიტებს ახორციელებს. ამას გარდა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ევროკავშირის ჩინოსანი უმართავი გახდა და საკუთარ აზრებს აფრქვევს. რასაკვირველია, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების ოფიციალური კურსი არსებობს და აქ, შეიძლება, რამდენიმე ვერსია ვივარაუდოთ; ევროპელები და ამერიკელებიც ჩვენ გვიყურებენ. თუ წავუყრუეთ და ბრიუსელსა და ვაშინგტონს ისეთი დასკვნის გაკეთების საშუალება მივეცით, რომ ქვეყანა თანდათანობით ეგუება ორი რეგიონის დაკარგვას, მაშინ მათი ვერსიით, კონფლიქტი გადაჭრისკენ წავა, რაც ყველას აწყობს, საქართველოს გარდა.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არამხოლოდ სამართლებრივი პრინციპი, ეს ჩვენი ცხოვრებაა, სახელმწიფო ინტერესებია, დასავლეთისთვის კი, სულ სხვა რამაა. თუ საქართველო შეეგუება, ევროპელები და ამერიკელები ამისთვის მხოლოდ ტაშს დაგვიკრავენ, შეიძლება, დახმარებებიც კი გაგვიზარდონ, როგორც სერბეთთან აქვთ ურთიერთობა; სერბეთი ჩვენთვისაც ტესტია, ხომ ხედავთ, რა ხდება, ოღონდ კოსოვო აღიარეთ და ევროკავშირში გიღებთ, დახმარებას, ფულს მოგცემთო, ეუბნებიან, ამიტომ, არ გამოვრიცხავ, ლეფორმა საცდელი ბუშტი გაუშვა და უყურებს, როგორი რეაგირება იქნება. ამას ელოდება არამხოლოდ ბატონი ფილიპი, არამედ მისი ევროპელი უფროსები. მერე კი განაცხადა, რაც ვთქვი, სხვა ამბავია, მთავარია, ევროკავშირის კურსის არაღიარებაო. სეპარატისტები კი ტყუილად მადლობას არასოდეს არავის უხდიან.

– რამდენად დამაკმაყოფილებელია მსგავს გამოვლინებაზე ქართული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიცია?

– არ არის დამაკმაყოფილებელი, ამიტომ ევროპელებმა ეს მცდარ სიგნალად რომ არ ჩათვალონ, საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან საჭიროა უფრო მკვეთრი რეაგირება. ისე კი არა, რომ დაიბარეს, ესაუბრნენ და გარკვეული განმარტება მოსთხოვეს. ქართულმა დიპლომატიამ მკვეთრი განცხადება უნდა გააკეთოს, ვინაიდან ასეთი განცხადებები სოხუმსა და ცხინვალს სულ სხვანაირი მოქმედების სტიმულს აძლევს. შეიძლება ლეფორს არც წარმოუდგენია (თუმცა ესეც საეჭვოა), რა ზიანი მიაყენა ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას ამ ერთი განცხადებით. დიპლომატიურმა უწყებამ საპროტესტო ნოტა უნდა გაგზავნოს სათავო ოფისში, ვისაც ევროჩინოსანი წარმოადგენს თუ წარმოადგენდა. მის შემდეგ ვინც ჩამოვა, იმისთვის ეს უნდა გაკვეთილად იქცეს, ხოლო თუ წავუყრუეთ და მხოლოდ ზრდილობის გულისთვის, პროტესტით დავკმაყოფილდით, უარესი გველის.

– მაგრამ რატომ უნდა აწყობდეს ევროკავშირის წარმომადგენელს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ დამოუკიდებლობის აღიარება?

– რაც უფრო ნაკლები კონფრონტაცია და კრიზისია, აწყობთ. ომის, კონფლიქტის საშიშროება დასავლეთის წისქვილზე წყალს არ ასხამს. ერთი რამ უნდა ვიცოდეთ — ევროპელებისა და ამერიკელებისთვის ამ ტერიტორიულ დავებში მთავარი კონფლიქტის გადაჭრაა; საუბარია არა სამართლიან გადაჭრაზე, არამედ მთავარია, თვითონ კონფლიქტი აღარ იყოს. ახლა რა ხდება, ხვალზეგ ახალი თავსატეხი გაუჩნდებათ ბელგიაში, უკვე აქვთ კატალონიასთან დაკავშირებით, ესპანეთში, არ არის გამორიცხული სხვაგანაც სატკივარი, შოტლანდიის პრობლემა გაღვივების პროცესშია, როდის აალდება, არავინ უწყის, ამიტომ რაც ნაკლები იქნება ასეთი კონფლიქტის კერა, მით უკეთესია მათთვის. იქ, უბრალოდ, პრაგმატული ეგოიზმია და სულ არ ადარდებთ, რომ აფხაზეთი საქართველოა, სამაჩაბლო კი ძირძველი ქართული მიწაა. აწუხებთ ერთი, აქ კიდევ სამხედრო შეტაკება, ომი არ დაიწყოს და ეს რუსეთმა თავის ინტერესებში არ გამოიყენოს; რაც მთავარია, იძულებულნი არ გახდნენ, კიდევ აღმოჩნდნენ ჩათრეულნი ამ კონფლიქტის გადაჭრაში, რაც მატერიალურ ხარჯსა და რეგიონში დესტაბილიზაციის საფრთხესთანაა დაკავშირებული. მათთვის უმთავრესი სტაბილურობაა.

– ამ ვითარებაში, ჩვენ რა გვეშველება ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში?

– მხოლოდ და მხოლოდ, პრინციპულობა, არშეგუება და ნეტარმორწმუნეობას თავი უნდა დავანებოთ. საგულისხმოა, რომ ბიძინა ივანიშვილის არასამთავრობოს ერთ-ერთი ამოცანა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კონცეფციის შემუშავებაა. ეს რას ნიშნავს? იმას, რომ დღეს სახელმწიფოს რეალური პროგრამა არ გააჩნია ან თუ აქვს, იმდენად არაეფექტურია, რომ უკვე შეცვლას ითხოვს.

მეცნიერების ურთიერთსაპირისპირო „სიმართლე“ საყდრისის შესახებ

მე-5 გვერდიდან

— კითხვებზე პასუხების მისაღებად, საკმაო დრო იყო. კვლევები 9 წელი მიმდინარეობდა. ახლა იმის მოლოდინში, იქნებ ოდესმე რომელიმე არქეოლოგმა საყდრისის საბადოდან მიღებული ოქროს ნაკეთობა აღმოაჩინოს და მისი უნიკალობა დაადასტუროს, ობიექტი ხელშეუხებელი დავტოვოთ, ესაა თქვენთვის გამოსავალი?

— გამოსავალი ისაა, შენარჩუნდეს ობიექტი, როგორც არქეოლოგიური ძეგლი. ამის სურვილი კულტურის სამინისტრომაც გამოთქვა. სამეცნიერო კვლევები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს და დასრულდეს. ამას რა დრო დასჭირდება, არ ვიცი. ის 9 წელი არასწორადაა გაგებული — საველე სამუშაოები წელიწადში მაქსიმუმ 30-35 დღე ტარდება, 9 წელში 270-350 დღე გამოდის. სამწუხაროა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კულტურა არ გაგვაჩნია. დმანისს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. იქ რომ ოქრო იყოს, დავანგრიოთ? საყდრისის მიმართ დამოკიდებულებაა შესაცვლელი. იყოს მეპატრონე „ერ ემ ჯი გოლდი“, უბრალოდ, შევთანხმდეთ — გაგრძელდეს კვლევები და მხოლოდ იმაზე ნუ ვიფიქრებთ, დღეს მაქსიმალურად ამოვიღოთ საბადოდან ოქრო. ასე, „დღევანდელი კვერცხის“ პრინციპით თუ გავაგრძელებთ მოქმედებას, 3-4 წელიწადში, ამ ობიექტზე ოქრო აღარ იქნება. თუ იქ, მაგალითად, სამთო მუზეუმს შევქმნით და მადნის მოპოვების ოპტიმალურ ხერხს შევარჩევთ, რომლის დროსაც ოქროს თან ამოვიღებთ, თან შევინარჩუნებთ, ძეგლი საუკუნეებს გაუძლებს.

გურამ ყიფიანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის სრული პროფესორი:

— ჩანს, სიტყვა „ძეგლი“ იწვევს ტერმინოლოგიურ დაბნეულობას საზოგადოებაში. მეტიც, იურიდიულ დაბნეულობასაც იწვევს. არქეოლოგიური ძეგლი ეწოდება ყველაფერს, სადაც ჩანს წარსული ადამიანის ნამოქმედარი. არ აქვს მნიშვნელობა მოქმედებას — კერამიკას წვავს, მიწას ამუშავებს თუ სხვა... ამ ნიშნის მიხედვით, არქეოლოგიური ძეგლია მუხრანის ველიც, რადგან იქ ადამიანი საუკუნეებისმიღმა მიწას ამუშავებდა და შეიძლება, ამ ველზე არტეფაქტებიც იპოვოთ, მაგალითად, ძველი სასოფლო-სამეურნეო იარაღი. ახლა მითხარით, რა ვქნათ, მუხრანის ველიც ძეგლად გამოვაცხადოთ და აღარც მოვხნათ, აღარც დავთესოთ?

— გასაგებია, მაგრამ სახნავ მიწაზე კი არა, ოქროს საბადოზე ვსაუბრობთ, რომელიც, მეცნიერთა ნაწილის მტკიცებით, მსოფლიოში უძველესია.

— მაპატიოს ყველამ, მაგრამ ჩვ. წ. აღ-მდე IV ათასწლეულის ოქროს ნაკეთობას კავკასიაში არ ვიცნობ! თუ აქ მოიპოვებდნენ ოქროს, სად წავიდა? რატომ არ არსებობს იმდროინდელი ოქროს ნაკეთობები? საერთოდ, ვიცნობთ ჩვენ ამ პერიოდის კულტურას? ვიცნობთ და ვიცით მისი სივრცობრივი აზროვნება რას წარმოადგენს. ბუნებრივია, პერიოდის მიხედვით, კულტურა ანუ შეთანხმებათა სისტემები, დგას საკმაოდ დაბალ საფეხურზე და ახლა გინდათ დამარწმუნოთ, რომ მაშინდელ საზოგადოებას ჰქონდა განვითარებული ცივილიზაცია? ეს წარმოუდგენელია და რომც დავუშვათ ასეთი რამ, გეკითხებით, რატომ არ ვიცნობთ ამ პერიოდის ოქროს ნაკეთობებს?

— იქნებ მოპოვებული ოქროსგან ნაკეთობებს არ ამუშავებდნენ და ქვეყნიდან გაჰქონდათ?

— ამას კიდევ უფრო დიდ აბსურდამდე მივყავართ. ესე იგი, მარწმუნებთ, რომ იმ პერიოდის მოსახლეობას მონეტარული პოლიტიკისთვის ჩაუყრია საფუძველი და ოქრო გაუხდია გაცვლისას ექვივალენტად. თუ ვინმეს წარმოდგენილი აქვს, ამას ჩვ. წ. აღ-მდე ადამიანი როგორ აკეთებდა, დაასაბუთოს. ამის არ მჯერა ისევე, როგორც იმის, რომ საყდრისის მაღაროში ოქროს მოიპოვებდნენ. ჩემთვის ისიც წარმოუდგენელია, იმ პერიოდის ადამიანს, ტექნოლოგიურად მოეხერხებინა საყდრისში ოქროს მოპოვება. თუმცა, გეოლოგი არ ვარ და ამაზე დეტალურად ვერ ვისაუბრებ. ვერც იმაზე ვისაუბრებ, თავის დროზე, რატომ ან როგორ მიენიჭა ამ ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ეს იურიდიული საკითხია. თქვეს იურისტებმა, რომ სტატუსის მინიჭება დარღვევებით მოხდა. 3-4-ჯერ წერილობით გამოვხატე ჩემი აზრი და კომისიის სხდომებსაც აღარ დავსწრებივარ — ერთი და იგივე როდემდე ვიმეორო? ოდესმე ხომ უნდა დასრულდეს ეს ამბავი? მაკვირვებს, რომ საყდრისს სტატუსი მიანიჭა კულტურის სამინისტრომ, მოუხსნა კულტურის სამინისტრომ, კულტურის სამინისტრო აპირებს ძეგლის სტატუსის დაბრუნებას... კი, მაგრამ, საზოგადოებისგან რა უნდათ, მაინტერესებს.

— კულტურის სამინისტროს ასეთ არათანმიმდევრულ ნაბიჯებს რით ახსნით?

— არაკომპეტენტურობით! ყველა არათანმიმდევრულ ქმედებაში ჩანს არაკომპეტენტურობა და უპრინციპობა. მოდი, ყველაფერს თავი დავანებოთ და დავუშვათ, რომ ჩვ. წ. აღ-მდე IV ათასწლეულის ადამიანი საყდრისის საბადოზე ოქროს ნამდვილად მოიპოვებდა. ზღაპარია, მაგრამ დავუშვათ. ამ ფონზე, ისიც დავუშვათ, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტი, მართლაცაა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. ახლა როგორ მოვიქცეთ.

არ მივუახლოვდეთ, ხელი არ ვახლოთ და აღარ მოვიპოვოთ იქ ოქრო? წარმოიდგინეთ ბორცვი, რომელზედაც არის შუასაუკუნეების ნამოსახლარი. რა ვქნა, სარგებელი, თუნდაც შემეცნებითი, არ უნდა მივიღოთ? თუ „გავანადგურე“ ზედა ფენა, იხსნება ქვედა ფენა და დავდივართ უფრო ადრეულ პერიოდზე. დიახ, ბოლომდე მინდა მივიღოთ ინფორმაცია, ბოლომდე მინდა გვქონდეს, თუნდაც შემეცნებითი სარგებელი. ეს ხომ ლოგიკურია? მაგრამ აქ ისეთი ვითარება შეიქმნა, ძეგლია, მსოფლიოში ყველაზე ძველი საბადოა და არ შევეხოთო. დიდ პატივს ვცემ და მიყვარს ჩემი სამხრეთ-აღმოსავლელი მეზობლები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ყველაფერი იქ იწყება და ხდება პირველად მათ ქვეყანაში, მაგრამ არ ვარ ამგვარი მენტალობის და არ მინდა, ვინმეს დასაცინი გავხდე... გამოიძებნოს რაღაც ოპტიმალური ვარიანტი. იყო საუბარი ძეგლის მოშორებით გადატანაზე. ტექნიკურად, ეს სავსებით შესაძლებელია და არც საბადოს შეუქმნის პრობლემას, მაგრამ იცით, არქეოლოგებისა და სხვა სპეციალისტების საუბარი აბსურდული მეჩვენა ერთ-ერთ სხდომაზე, როცა ეკოლოგების დასკვნა წარმოადგინეს.

— ასეთი რა დასკვნა დადეს ეკოლოგებმა?

— ეკოლოგები ამბობენ, რომ გახსნილი და შემდეგ მიტოვებული საბადოს შემთხვევაში, წარმოიშობა მომწამლავი ნივთიერებები, რომლებიც წამლავს ყველას. ის ამოსაღებია ისევე, როგორც, მაგალითად, ორგანიზმიდან უცხო სხეული, სიმსივნე. ანუ ამ საბადოს, გამოუყენებლობის შემთხვევაში, გარემოს დაზიანება შეუძლია. ახლა ამიხსენით, როცა არსებობს ასეთი დასკვნა, რაღა უნდა ილაპარაკონ არქეოლოგებმა და სხვებმა? ეკოლოგებმა წარმოადგინეს დასკვნა, რომ ამ საბადოს ასე, უმოქმედოდ დატოვება, იქნება ეკოლოგიური დანაშაული და თუ ეს დასკვნა მართალია, ვფიქრობ, საკითხი გადაწყვეტილია. ჩემი რეკომენდაცია კი ასეთია: მხარეები მივიდნენ კონსენსუსამდე და შეთანხმდნენ: არქეოლოგიური კვლევაც დასრულდეს და საქმეში წარმოებაც ჩაერთოს.

კანონდამრღვევი დეპუტატები და მათი ბიზნესინტერესები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ მორიგი კვლევა გამოაქვეყნა, რომელიც საქართველოს პარლამენტის წევრების არადეკლარირებულ სამეწარმეო ინტერესებს ეხება. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მკვლევარებმა იმ დეპუტატების ქონებრივი დეკლარაციები შეისწავლეს, რომლებმაც კანონი დაარღვიეს და სხვადასხვა კომპანიებში საკუთარი წილობრივი მონაცემები არ მიუთითეს. მეტიც, მკვლევარებმა საჯარო რეესტრის სამეწარმეო ბაზის მონაცემებიც გამოიყენეს და დაადგინეს, რომ ზოგიერთი კომპანია და შპს, რომლებიც დეპუტატებს ქონებრივ დეკლარაციაში აქვთ მითითებული, დღევანდელი მონაცემებით, რეესტრში აღარ იძებნება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ დავით უსუფაშვილს დეპუტატების დასჯის რეკომენდაციით მიმართავს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პარლამენტის წევრთა გარკვეული ნაწილის მიერ წარდგენილ წლიურ ქონებრივ დეკლარაციებში, მათი მიმდინარე და წარსული ბიზნეს-საქმიანობა არასრულადაა ასახული. საქართველოში 2 700-ზე მეტი თანამდებობის პირი, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის ყველა წევრი, ვალდებულია, რომ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია ყოველწლიურად წარადგინოს, სადაც თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრების საკუთრება, კუთვნილი წილები კომპანიებში და საბანკო ანგარიშებია ასახული. მსგავსი ინფორმაცია საზოგადოებას საშუალებას აძლევს გააანალიზოს, რომელმა კომპანიებმა, ორგანიზაციებმა და ინტერესთა ჯგუფებმა შეიძლება მოახდინონ გავლენა პარლამენტის წევრის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ პარლამენტის წევრთა მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციები და საჯარო რეესტრის ბაზაში კომპანიების მესაკუთრეების ჩანაწერები შეადარა. შედეგად, ისეთი შემთხვევები გამოვლინდა, როდესაც დეპუტატის მიერ, დეკლარაციაში მითითებული კომპანიების სია არასრული იყო. ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, პარლამენტის წევრის მიერ მითითებული კომპანია დღეს უკვე აღარ არსებობს, რადგან კომპანიებს, ფუნქციონირების სტატუსის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ ევალებათ. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კვლევაში ასახული კომპანიების სია არ შეიცავს ინფორმაციას სააქციო საზოგადოებებში პარლამენტის წევრთა წილების შესახებ, რადგან საქართველოს კანონმდებლობით, ამ ტიპის კომპანიებს, მათი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის საჯარო რეესტრისათვის მიწოდება არ ევალებათ.

ლევან ქარდავა, წალენჯიხის მაჟორიტარი დეპუტატი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა: 2013 წლის ბოლოს შევსებულ დეკლარაციაში, ლევან ქარდავამ მხოლოდ ერთი კომპანია — შპს „მ.დ. ჯგუფი“ მიუთითა. მისი განცხადებით, მას კომპანიისგან მოგება არ მიუღია. დეპუტატის 2012 წლის დეკლარაცია კი საერთოდ არ შეიცავს ინფორმაციას კომპანიებში მისი მონაწილეობის შესახებ. საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერების მიხედვით, შპს „მ.დ. ჯგუფის“ გარდა, ლევან ქარდავა შპს „მაგანა 2004“-ს და შპს „გრუპო ვია“-ს მესაკუთრეა. მას ასევე ეკუთვნის შპს „საქართველოს ინოვაციური ნანო ტექნოლოგიების“ 25%-იანი წილი. 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ, საჯარო რეესტრში დაცული ინფორმაციის მიხედვით, ლევან ქარდავამ მისი კუთვნილი კომპანიების ნაწილი გაასხვისა: 2012 წლის 30 ოქტომბრამდე, მას ეკუთვნოდა შპს „25-ე არხის“ 50%-იანი წილი. 2013 წლის მარტში, მან გაასხვისა შპს „ოილ პროში“, მისი კუთვნილი 50%-იანი წილი, ხოლო 2013 წლის ივნისში, შპს „გეომაგინვესტპრომის“ 25%-იანი წილი.

რევაზ შავლოხაშვილი, წალკის მაჟორიტარი დეპუტატი, „ქართული ოცნება — კონსერვატორები“: თავდაპირველად, რევაზ შავლოხაშვილი პარლამენტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი იყო, მაგრამ მოგვიანებით, „ქართული ოცნება — კონსერვატორებში“ გადავიდა. იგი შპს „საბა 2005“-ის 50%-იან წილს ფლობს, რომლის შესახებ არც 2013 წლის მაისისა და არც წალკის გამგებლად მუშაობის დროს, 2010 და 2012 წლებში შევსებულ ქონებრივ დეკლარაციებში არ განაცხადა.

თამაზ ყაჭეიშვილი, პარლამენტის წევრი, „ქართული ოცნება“: 2013 წლის დეკემბერში შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში, თამაზ ყაჭეიშვილმა განაცხადა, რომ იგი წილებს ფლობდა ორ კომპანიაში – შპს „ნუგოსა“ და შპს „სამეგობროში“. დეპუტატს არ უხსენებია მისი 25%-იანი წილის შესახებ, შპს „ხარისხში“. სამეწარმეო რეესტრში არსებული მონაცემების თანახმად, დეპუტატი ფლობს 5%-იან წილს შპს „საქართველო-გერმანიის ერთობლივი საწარმო ეკო“-ში. კომპანიის შესახებ ბოლო ჩანაწერი კი 2010 წლის აგვისტოთი თარიღდება, რის შემდეგაც, შესაძლოა, ამ შპს-მ ფუნქციონირება შეწყვიტა.

თამაზ შიოშვილი, პარლამენტის წევრი, „ქართული ოცნება“: დეპუტატი შპს „სპენიშქლეის“ 35%-იანი და შპს „მემორექსის“ 30%-იანი წილების მფლობელია. თუმცა 2012 და 2013 წლების ქონებრივ დეკლარაციებში, ამის შესახებ არ განაცხადა.

გოგი ლიპარტელიანი, ლენტეხის მაჟორიტარი დეპუტატი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა: 2013 წლის 2 აპრილამდე, გოგი ლიპარტელიანი შპს „ბიოსფერო პლუსის“ 20%-იანი წილის მფლობელი იყო, რის შესახებაც მან 2012 წლისა და 2013 წლის მაისში შევსებულ ქონებრივ დეკლარაციებში არ განაცხადა. თუმცა დეკლარაციებში, დეპუტატმა მისი მეუღლის მიერ, აღნიშნულ კომპანიაში არსებული წილებისა და მისი სხვა კომპანიებში არსებული წილების შესახებ მიუთითა: შპს „სპეროზა“, შპს „გამა პლუსი“, შპს „გამა“, შპს „ტრანსგაზი“ და შპს EuroStyle XXI.

თამაზ ავდალიანი, პარლამენტის წევრი, „ქართული ოცნება“: 2013 წლის 10 იანვრამდე, თამაზ ავდალიანი შპს „ასკო ლტდ“-სა და შპს GeoHolidayTour-ის 50%-იანი წილების მფლობელი იყო. ამის შესახებ დეპუტატმა არც 2012 წლისა და არც 2013 წლის დეკემბერში შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში არ განაცხადა.

ვიქტორ ჯაფარიძე, მესტიის მაჟორიტარი დეპუტატი, „ქართული ოცნება“: 2013 წლის 7 მარტამდე, ვიქტორ ჯაფარიძე შპს „სეტის“ 50%-იანი წილის თანამფლობელი იყო, რის შესახებაც მან არც 2013 წლის 17 დეკემბერს და არც 2012 წლის 11 დეკემბერს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში არ განაცხადა. ამ დეკლარაციებში დეპუტატმა სხვა კომპანიის – შპს „ქცია 94“-ის მეწილეობის შესახებ მიუთითა, მაგრამ ეს კომპანია საქართველოს სამეწარმეო რეესტრში არ იძებნება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევარები, საქართველოს პარლამენტის დეპუტატს, ქართული ოცნების წევრს, **ანი მიროტაძეს** საჯაროდ ბოდიშს უხდიან. კვლევის თავდაპირველ ვერსიაში მითითებული იყო, რომ 2012 წლის 31 ოქტომბრის ამონაწერის მიხედვით, ანი მიროტაძე შპს „PR ჯგუფის“ 50%-იანი წილის მფლობელია, რის შესახებაც მან 2012 და 2013 წლების ქონებრივ დეკლარაციაში არ განაცხადა. „ვერსიასთან“ საუბრისას, დეპუტატმა ანი მიროტაძემ განმარტა, რომ შპს „PR ჯგუფი“ მან 2009 წელს დააფუძნა, მაგრამ არსებობის მანძილზე, ამ შპს-ს არანაირი ბრუნვა არ ჰქონია და შესაბამისად, არც შემოსავალი მიუღია. მას შემდეგ, რაც დეპუტატი გახდა, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ანი მიროტაძემ ამ შპს-ში საკუთარი წილი დათმო, ბრუნვის არარსებობის გამო კი კომპანია უკვე ლიკვიდირებულია. „ვერსიას“ ეს ინფორმაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენელმა, კახა ურიადმყოფელმა დაუდასტურა და განმარტა, რომ ორგანიზაციამ კვლევა განაახლა, სადაც ანი მიროტაძის გვარი აღარ ფიქსირდება. მისივე თქმით, ორგანიზაციის ვებ-გვერდზე, კვლევის განახლებულ ვერსიაში ის ხარვეზიცაა მითითებული, რაც ირინე იმერლიშვილისა და დეპუტატ გიგა ბუკიას შემთხვევებში დაფიქსირდა.

ირინე იმერლიშვილი, პარლამენტის ყოფილი წევრი, „ქართული ოცნება“: 2012 წლის 19 დეკემბრის მონაცემებით, შპს „მიშოს“ 70%-იანი წილის მფლობელია, მაგრამ 2012 წლის 21 დეკემბერს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში ამის შესახებ არ განუცხადებია. მეტიც, ყოფილ დეპუტატს ამის შესახებ 2013 წლის ნოემბერში, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად დანიშვნის შემდეგ, დეკემბერში შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაშიც არ განუცხადებია. კვლევის გამოქვეყნებისთანავე, ირინე იმერლიშვილი „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ დაუკავშირდა და შეატყობინა, რომ მისმა წარმომადგენელმა, 2012 წლის 19 დეკემბერს, საჯარო რეესტრში წარადგინა განცხადება, მეწილე რუსუდან მინაძისთვის საკუთარი წილის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ირინე იმერლიშვილმა, მართლაც მიმართა საჯარო რეესტრს განცხადებით, წილის დათმობის ხელშეკრულების დარეგისტრირების შესახებ. მიუხედავად ამისა, აღმოჩენილი ხარვეზის გამო, 2012 წლის 20 დეკემბერს, საჯარო რეესტრმა მიიღო გადაწყვეტილება განცხადების წარმოების ვადის დინების შეჩერების შესახებ, ხოლო 2013 წლის 23 იანვარს, სარეგისტრაციო წარმოება სრულიად შეწყვიტა. ზუსტად ამ ხარვეზის გამო, ამონაწერში კვლავაც ფიქსირდება ქალბატონი ირინე იმერლიშვილი წილის მესაკუთრედ. შედეგად, ირინე იმერლიშვილის მიერ, კომპანიაში მისი წილის გასხვისების შესახებ ინფორმაცია, საჯარო რეესტრის მონაცემებში დაფიქსირებული არ არის. ამ გარემოების შესახებ ინფორმაციის არქონის გამო, კომპანიის წილის საკუთრების შესახებ ჩანაწერი, დეპუტატმა 2012 და 2013 წლების ქონებრივ დეკლარაციებში არ გააკეთა.

გიგა ბუკია, პარლამენტის წევრი, „ქართული ოცნება“: გიგა ბუკიას შვილი, გიორგი ბუკია, შპს „იუ სი ემ“-ის 50%-იანი მეწილეა, რის შესახებაც დეპუტატის 2013 წლის დეკემბრის ქონებრივ დეკლარაციაში ჩანაწერი არ მოიძებნება.

„ვერსიასთან“ საუბრისას, გიგა ბუკიამ განმარტა, რომ შპს „იუ სი ემ“-ი მის მიერ დაარსებული კომპანიაა და ეს ინფორმაცია, 2003-2008 წლებში შევსებულ ქონებრივ დეკლარაციებში მითითებული იყო. მას შემდეგ, რაც პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნების მითითებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა „ქართული ოცნების“ შემომწირველების ქონება დააყადაღა, მათ შორის, გიგა ბუკიას ქონება და აღნიშნული შპს. თუმცა დეპუტატად არჩევის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ შპს დაყადაღებული იყო, კომპანიაში მისი კუთვნილი წილი შვილის, გიორგი ბუკიას სახელზე მაინც გადააფორმა. სხვათა შორის, ეს შპს ახლაც დაყადაღებულია და რა თქმა უნდა, დეპუტატის შვილი დაყადაღებული კომპანიიდან შემოსავალს ვერ იღებს, შესაბამისად, გიგა ბუკიამ ქონებრივ დეკლარაციაში ამის შესახებ არაფერი მიუთითა. „ვერსიასთან“ საუბრისას კი დააზუსტა, რომ ეს უფრო ტექნიკური ხარვეზია და არა კანონდარღვევა, რაშიც „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მკვლევარებიც დაეთანხმნენ და შედეგად, ორგანიზაციის ვებგვერდზე ხარვეზი გაასწორეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევარების განცხადებით, პარლამენტში არჩევამდე, რამდენიმე დეპუტატმა გასხვისებული წილების შესახებ არ განაცხადა. არადა, კანონის მიხედვით, ისინი ვალდებულნი იყვნენ, ამ ტიპის ტრანზაქციებიდან მიღებული შემოსავალი ქონებრივ დეკლარაციებში აესახათ. ანგარიშვალდებულების მხრივ, მსგავსი შემთხვევები ნაკლებ პრობლემატურია, თუმცა ტექნიკურად ეს ყველაფერი საჯაროობის ვალდებულების დარღვევად ითვლება. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია, თანამდებობის პირმა, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, კომპანიების წილები ნდობით აღჭურვილ პირს ან ნათესავს გადასცა, რათა რეალურ მესაკუთრედ მაინც თვითონ დარჩენილიყო: **„გვსურს, მოვუწოდოთ პარლამენტის თავმჯდომარეს, მიიღოს შესაბამისი ზომები, დეპუტატების ბრალეულობის დადგენის შემთხვევაში კი, მათ მიმართ, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტითა და პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებები განახორციელოს. თანამდებობის პირთა მიერ დეკლარაციების შევსება, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვანი მექანიზმია. თუმცა მისი ეფექტური ფუნქციონირებისთვის, აუცილებელია, რომ კანონმდებლობა, კანონის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში ადეკვატურ სანქციებსაც ითვალისწინებდეს, რაც სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობით, ახლა გათვალისწინებული არ არის“,** — აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მკვლევარები.

„ნარკომანიის გავრცელებაზე მარტო სერგეენკო და ღარიბაშვილი არ უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

მთავრობამ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა ახალი ძალებით დაიწყო. ჯანდაცვის სამინისტრო სენის მართვის ახალ, განსხვავებულ სტრატეგიაზე მუშაობს.

როგორც მინისტრი დავით სერგეენკო აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ ნარკომანიისა და, ზოგადად, ფსიქიკური ჯანმრთელობის მართვასთან დაკავშირებით, გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები და რეფორმები განხორციელდა, სტრატეგია ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ იყო ეფექტური და აქცენტი ხუთი მთავარი მიმართულებიდან მხოლოდ ერთზე — მეტადონის ჩანაცვლებაზე კეთდებოდა: **„ვაღიარებ, რომ ამ მიმართულებით რეფორმა არ მიმდინარეობდა ეფექტურად, შესაბამისად, ბოლო დღეებსა და ბოლო ორი კვირის განმავლობაში გავატარეთ მნიშვნელოვანი ცვლილებები. იურიდიულმა პირმა, რომელსაც ამ სტრატეგიის შექმნა და მონიტორინგი ევალებოდა, ეფექტურად ვერ იმუშავა და გავატარე რადიკალური საკადრო ცვლილებები. ამ სამსახურის ხელმძღვანელად დავნიშნე ამ დარგის ერთ-ერთი აღიარებული ექსპერტი, ყველაზე დიდი გამოცდილებით — გელა ლეჟავა“.**

სერგეენკომ იმედი გამოთქვა, რომ მალე წარმოდგენილი იქნება სრულიად განსხვავებული, შედეგზე ორიენტირებული ნარკომანიის მართვის ახალი სტრატეგია: **„ეს საკითხი, რა თქმა უნდა, ვერც ერთმა ქვეყანამ საბოლოოდ ვერ მოაგვარა, მაგრამ მე, ამ მხრივ, საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი — რეფორმა, რასაც უახლოესი ერთი თვის განმავლობაში ჩავატარებთ, მნიშვნელოვნად შეამცირებს ზიანს“.**

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ექსპერტი-ნარკოლოგი **გელა ლეჟავა** განმარტავს, რომ ნარკომანიის მართვის ახალი სტრატეგია ჩამოყალიბების პროცესშია და კონკრეტული ნაბიჯების გასახმოვანებლად დროა საჭირო. მისივე თქმით, პროცესის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, ღონისძიებების როგორი მატერიალური უზრუნველყოფა იქნება.

„დარგის სპეციალისტები ვმუშაობთ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს პირველ რიგში და სტრატეგიული თვალსაზრისით. მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანაში რაც შეიძლება ნაკლები ნარკომანი გვყავდეს. უნდა ჩამოვყალიბდეთ, კონკრეტულად, რა ნაბიჯები გადაიდგას ჯანდაცვის სამინისტროში, ასევე უმწვავეს პრობლემასთან კავშირში მყოფ დანარჩენ უწყებებში, მაგალითად, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების მხრიდან; ასევე როგორი მუშაობა უნდა წარიმართოს ნარკომანიის წინააღმდეგ რეგიონებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში; მაგალითად, ზუგდიდის გამგებელი, გარკვეულწილად, პასუხს უნდა აგებდეს რეგიონში არსებულ მდგომარეობაზე, ის უნდა აგვარებდეს რეალურ პრობლემებს. მარტო სერგეენკო და ღარიბაშვილი არ უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი ქვეყანაში ნარკომანიის გავრცელების საკითხზე. საერთო ეროვნულ საქმეს ყველამ უნდა მიხედოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში. აღარაფერს ვამბობ მედიასა და ჟურნალისტებზე, თემის განხილვის შუქჩრდილებზე. საჭიროა, თუნდაც რამდენიმე დახურული შეხვედრა მედიასთან. ერთი ერთზე რომ დავსხდეთ და განვიხილოთ ეს პრობლემა, რას ვფიქრობთ, როგორ უნდა გავაშუქოთ, რომ შედეგი სასიკეთო გვქონდეს. ახლაც წინ მიდევს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი, როგორ გაშუქდეს პრესაში ალკოჰოლიზმის თემა. ყველა პროფესიული სტანდარტების დაცვას უნდა ცდილობდეს, რათა ძალაუნებურად, უარესი სურათის მიღებას ხელი არ შევუწყოთ. მოკლედ, ორ-სამ კვირაში გარკვეული მონახაზი მზად გვექნება, ჯანდაცვის სამინისტროში, ასევე სხვა უწყებებთან დაიხვეწება და კონკრეტული მუშაობა დაიწყება“.

რაც შეეხება ახალი სტრატეგიის შედეგებსა და მოლოდინს, გელა ლეჟავას თქმით, ამ თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია სააფთიაქო სისტემაში არსებული მდგომარეობის დარეგულირება. მისივე შეფასებით, ეს უკვე უდიდესი ნაბიჯია, რომელიც პრობლემის მოგვარებაზე დადებითად აისახება: **„არ მეგულება საქართველოში ბევრი სხვა გადადგმული ნაბიჯი, რომელიც ხელს შეუწყობს კრიზისის დარეგულირებას. ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ქვეყანაში ნარკომანიის გავრცელების შემცირებას, მაგრამ საქმეს მარტო ბრძანება და დადგენილებები არ შველის, კონტროლის ეფექტური სისტემა უნდა ჩამოვაყალიბოთ. მაგალითისთვის, რეცეპტით თუ მის გარეშე, მოწაფემ აფთიაქში გარკვეული დასახელების პრეპარატი ვერ უნდა იყიდოს. მყიდველს სრულწლოვანის მოწმობა უნდა ჰქონდეს, ასეთ წამლებთან დაშვებისთვის. ასეთი ტიპის გამკაცრება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ასევე, საუბარია მედიკამენტების მოძრაობის ელექტრონულად გაკონტროლებაზე. სერიოზული კვლევები უნდა განხორციელდეს წამლების მოძრაობაზე, საბურთალოზე რომ იყიდის ადამიანი ასეთ პრეპარატს, ესეც უნდა აღირიცხოს. თვალყურის დევნების მთელი სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს. ამასთან, ყველამ ვიცით, რომ ჩვენს სამედიცინო სფეროში გავრცელებულია ნაცნობ-მეგობრებით მიყიდვა და მსგავსი დამოკიდებულება. ისეთი კონტროლის სისტემა უნდა შეიქმნას, მსგავს შემთხვევაში პასუხი ასეთი იყოს – გულით მინდა მოგცე წამალი, მაგრამ დამიჭერენ, გამოწერა კი მხოლოდ სათანადო ჩვენების შემთხვევაში უნდა ხდებოდეს. მაქსიმალური კონტროლის გარეშე, სასურველ შედეგებამდე ვერ მივალთ“.**

ნარკომანია საქართველოსთვის ერთ-ერთი მტკივნეული გამოწვევაა. მის გავრცელებაზე არსებული სტატისტიკური მაჩვენებლები, ლამის, კატასტროფულს უახლოვდება, ამიტომ მისასალმებელია მთავრობის მხრიდან ახალ სტრატეგიაზე მუშაობის დაწყება და დარგის პროფესიონალებისთვის მინდობა. იმედია, ზიანი შემცირებისკენ წავა და თაობების მომავალი, ჭირის გავრცელების გამო, საფრთხის ქვეშ არ დადგება.

ვანო მაჭავარიანის ვარაუდით, სოჭის ოლიმპიადის შემდეგ, რუსეთის ზეწოლა უფრო ინტენსიურ ხასიათს მიიღებს

„ძალიან სკურპულოზურად ვაკვირდებით მოვლენათა განვითარებას, არ არის გამორიცხული, რუსეთის მხრიდან როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით იყოს ზეწოლა, პოლიტიკური ელიტის გახლეჩის მცდელობა... ფაქტია, სოჭის ოლიმპიადის შემდეგ ამის ინტენსიურობა უფრო მეტი იქნება“, — განაცხადა მაჭავარიანმა. რაც შეეხება უკრაინას, მისი შეფასებით, ამ ქვეყანას „ძალიან რთული არჩევანი ჰქონდა“, — **„მაიდანზე შეკრებილია ზუსტად ის ხალხი, რომელმაც, ფაქტობრივად, სერიოზული პროტესტი გამოხატა იმაზე, რაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმას უკავშირდება. ეს ძალიან სამწუხარო იყო, მაგრამ რეალობას უნდა გავუსწოროთ თვალი, სადაც ვიქტორ იანუკოვიჩი პირდაპირ საუბრობდა იმაზე, თუ რა სერიოზული პრობლემების წინაშე დგას უკრაინა ფინანსურად და პოლიტიკურად“,** — განაცხადა მაჭავარიანმა. მისივე თქმით, **„უკრაინის მოსახლეობა, გარკვეულწილად, ორადაა გაყოფილი — ნაწილმა იანუკოვიჩის მიდგომა გაიზიარა. მოგეხსენებათ, უკრაინის მთავრობა ჩავიდა ვილნიუსში იმ განწყობით, რომ შეძლებდა, დაერწმუნებინა ევროპელი პარტნიორები იმ სირთულეებში, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ. მოსახლეობის ნაწილმა ეს გაიზიარა, განსაკუთრებით, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, რადგან უშუალოდ მიბმულები არიან, მათ შორის ბიზნესელიტა. დასავლეთმა კი ეს არ გაიზიარა“,** — აღნიშნა მაჭავარიანმა.

„პია“

ფინანსური ანგარიში

პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები"-ს 2013 წლის ფინანსური მდგომარეობის (შემოსავალ-გასავლის) ანალიზი

1. დაფინანსების წყაროები:

1.1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება – 176 864.48 ლარი;

1.2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ერთჯერადი დაფინანსება – 150 000.00 ლარი;

1.3. "საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი"-ს დაფინანსება – 91 679.64 ლარი.

სულ: 418 544.12 ლარი.

2. ხარჯვითი ნაწილი:

2.1. შრომის ანაზღაურება-გაცემული ხელფასები – 78 600. 00 ლარი;
2.2. ოფისის იჯარის ხარჯები – 24 884. 25 ლარი;
2.3. ოფისის შენახვის სხვა ხარჯები – 61 244. 68ლარი;
2.4. "საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი"-ს დაფინანსების მიზნობრივი ხარჯები – 67 397.34 ლარი.
2.5 სარეკლამო ხარჯები – 101. 00 ლარი

სულ: – 232 227. 27 ლარი.

3. სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში რიცხული თანხის ოდენობა:

3.1. სალაროს ნაშთი – 0 ლარი;
3.2 "თი ბი სი" ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი – 200 473.11 ლარი.

პ/გ "ახალი მემარჯვენეები"-ს პარტიის თავმჯდომარე — ფ. ნიხრაძე
მთ. ბუღალტერი — ლ. ვანიბერიძე
ინდივიდუალური აუდიტორი — ე. მიქელაძე

ინდივიდუალური აუდიტორი ეკატერინე მიქელაძე, სერტიფიკატი №№3/093

ქ. თბილისი 25 იანვარი 2014 წ.
რეგისტრაციის ნომერი: 01-2513

აუდიტორული დასკვნა

პოლიტიკური გაერთიანება **"ახალი მემარჯვენეები"-ს**
ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. დამოუკიდებელი აუდიტორის ეკატერინე მიქელაძის მიერ ჩატარებული იქნა პოლიტიკური გაერთიანება **"ახალი მემარჯვენეები"**-ს 2013 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების აუდიტი. აღნიშნული ორგანიზაცია წარმოადგენს პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 11.07.2001 წ., რეგისტრაციის მოწმობა № 142, საიდენტიფიკაციო კოდი№ 204427833, იურიდიული მისამართი ქ. კალანდაძის ქ. № 3.

2. მე ჩავატარე აუდიტი საქართველოს 1995 წლის 7 თებერვლის კანონის *"აუდიტორულ საქმიანობის შესახებ"* 22-ე მუხლის თანახმად. აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა ისეთი ფორმით, რომ დარწმუნებულიყავით ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაში.

3. აუდიტისათვის წარმოდგენილი საალრიცხვო დოკუმენტების და საანგარიშგებო მონაცემების მომზადებაზე, მათ სიხარულეზე და სრნამდვილეზე პასუხისმგებლობა აკისრია ზემოთაღნიშნული საწარმოს ხელმძღვანელს. ჩვენი დასკვნა ეფუძნება დაშვებას, რომ საწარმოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარია. ჩვენს პასუხისმგებლობას შეადგენს ის, რომ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ აზრი მოცემული ანგარიშგების უტყუარობაზე.

4. ჩვენი აუდიტორული შემოწმების შედეგების მიხედვით, პოლიტიკური გაერთიანება **"ახალი მემარჯვენეები"** კეთილსინდისიერად საქმიანობას არ ეწევა. მის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება, აღმასრულებელ ხელისუფლების საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა, ხოლო მისი დაფინანსება ძირითადად ხდება სახელმწიფო დაფინანსების, საწევრო შენატანებისა და შემოწირულობების ხარჯზე. ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებდა აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს 2013 წლის საანგარიშო პერიოდს, მომზადებულია ბასს 1-ის მოთხოვნების შესაბამისად და ძირითად ასპექტებში მართებულად ასახავს პოლიტიკური გაერთიანების ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 1 იანვრისათვის.

დამოუკიდებელი აუდიტორი — **ეკატერინე მიქელაძე**
25.01.2014 წ.

შემუშავებულია
ბასს 1 და ბასს 7-ის მიხედვით

საწარმოს ფინანსური ანგარიშგება

2014 წლის 1 იანვარი-სთვის

წარედგინება ერთ საწარმოზე თუ საწარმოთა ჯგუფზე ერთი

საწარმოს (ჯგუფისათვის - საბაო საწარმოს) საიდენტიფიკაციო ნომერი № 204427833

საფირმო სახელწოდება პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები"

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა პოლიტიკური გაერთიანება

იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ტ. კალანდაძის ქ. №3

დარგი (საქმიანობის სახე) პოლიტიკური საქმიანობა

ზომის ერთეული და სიზუსტის ხარისხი 1 ლარი

პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები"

ბალანსი

	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე აქტივები, სულ:	12329	201123
ფულადი სახსრები	4845	200473
მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-
დებიტორული დავალიანება მიწოდ. და მომსახურებიდან	-	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6401	-
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	-	-
წინასწარ გაწეული ხარჯი და გადახდილი გადასახადი	1082	650
მისაღები დივიდენდები, პროცენტები, ანაღოგ. მოთხ.	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	12199	9722
ძირითადი საშუალებები	4054	1637
არამატერიალური აქტივები	4145	4085
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	-
გრძელვადიანი მოთხოვნები	-	-
გრძელვადიანი ინვესტიციები	4000	4000
მ.შ. კაპიტალი-მეთოდით აღრიცხ. ინვესტიციები	-	-
სულ აქტივები:	24528	210845
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	1	1
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	0	-
მოკლევადიანი სესხები	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	0
გასაცემი დივიდენდები, პროცენტები, ანაღოგ. ვალდ.	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:	-	-
გრძელვადიანი სესხები	-	-
ანარიცხები	-	-
გადავადებული მოგების გადასახადი	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
გადავადებული შემოსავალი	-	-
სულ ვალდებულებები:	1	1
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	-	-
გაუნაწილებელი მოგება / დაუფარავი ზარალი	-	-
მ.შ. მიმდინარე წლის მოგება / ზარალი		-
რეზერვები და დაფინანსება	24527	210844
უმცირესობის წილი	-	-
სულ კაპიტალი:	24527	210844
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	24528	210845

ხელმძღვანელი:

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„მეგობრებში ვინმეს „ყაზტრანსგაზის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელი გეყოლებათ, ან ვინმე ამ მძარცველი კომპანიის წარმომადგენელი და გადაეცით ჩემგან, რომ მათ წინააღმდეგ ფართომასშტაბიან აქციას ვიწყებ და თუ კრიმინალებთან ბრძოლა ხელისუფლების პრიორიტეტია, პირველ რიგში, „ყაზტრანსგაზის“ კრიმინალური ქმედებები აღკვეთოს, თვეში მომხმარებელს გაზის გადასახადს ორ-ორჯერ რომ ახდევინებს! „ყაზტრანსგაზიდან“ მირეკავს ვინმე ნინო, მიხსნის, რომ ანათვალი, რადგან ახალი წელი იყო, აიღეს 28 დეკემბერს და ამიტომ გამოვიდა ისე, რომ მეორედ მომიწვეს 198 ლარის გადახდა, თან მაძლევს რჩევებს, რომ არ ვიყვირო, რომ არაა საჭირო ამ ქვითრის გამო საქმის კურსში ჩავაყენო ენერგეტიკის მინისტრი, რომ მხოლოდ მე კი არა, 500 000 აბონენტია და ყველა ასეთ მდგომარეობაშია. მერე, ჩემს აღელვებულ რეპლიკაზე, რომ მიშა ხუთი წელი გპარავდათ გაზს და ახლა გაიგეთ, სამაგიეროდ, მოსახლეობას ძარცვავთ-მეთქი, მიყვავებს, რა საჭიროა ეს პოლიტიკური კონტექსტიო. ვპასუხობ, საჭირო კი არა, ზუსტად ასეა-მეთქი. ბოლოს, მპირდება, რომ გაარკვევენ, იქნებ, ინდივიდუალურად, ჩემთვის დაუშვან, რომ, როგორც აქამდე, თვეში ერთხელ ანუ 20 რიცხვში ვიხდიდი, ისევ 20-ში გადავიხადო, რადგან არ შემექმნას დისკომფორტი და ვთიშავ ტელეფონს. ახლა, მითხარით, ასე რომელიმე, ყველაზე „ბანძ“ ქვეყანაში მაინც იქცევა, რომელიმე კომპანია?“, — ასეთი სტატუსი გამოაქვეყნა Facebook-ის საკუთარ გვერდზე, გაზეთ „ქართული სიტყვის“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ, ვანო პავლიაშვილმა.

„ყაზტრანსგაზთბილისი“ აბონენტებს გაზის ტარიფს ორჯერ ახდევინებს?!



ყაზტრანსგაზ თბილისი KazTransGas TBILISI
საავარიო სამსახური: 114
სამგორი, თრიალეთის, შენ. 36ა საინფ. ტ: 276-54-33
09-10029002
ქვითარი 19092126
აბონ. N. 438056-494
სახელი მეგრელიშვილი
მისამართი ისანი, ყვარელის, შენ. 90ა, ბინა 8
მრიცხველი: 407276 ტარიფი: 0.456196 (მოსახლეობა)

თარიღი	ჩვენების ტიპი	ჩვენება	კოეფ.	კუბ.მ.	თანხა
04.12.2013	ჩვენება	6.557.00			
03.01.2014	ჩვენება	6.975.00	1.00	418	190.69

სულ მიმდინარე დარიცხვა: 190.69
ძველი დავალიანება: 127.63
გადახდილი თანხა: 130.00
სულ გადასახდელი: 188.32
გადახდის ბოლო ვადა: 20.01.2014
თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი" უფლებას იტოვებს შეგიწყვიტოთ გაზმომარაგება. მიწოდების აღდგენის ხარჯების დაფარვა ეკისრება აბონენტს



ყაზტრანსგაზ თბილისი KazTransGas TBILISI
საავარიო სამსახური: 114
სამგორი, თრიალეთის, შენ. 36ა საინფ. ტ: 276-54-33
09-10029002
ქვითარი 19461482
აბონ. N. 438056-494
სახელი მეგრელიშვილი
მისამართი ისანი, ყვარელის, შენ. 90ა, ბინა 8
მრიცხველი: 407276 ტარიფი: 0.456196 (მოსახლეობა)

თარიღი	ჩვენების ტიპი	ჩვენება	კოეფ.	კუბ.მ.	თანხა
03.01.2014	ჩვენება	6,975.00			
24.01.2014	ჩვენება	7.411.00	1.00	436	198.90

სულ მიმდინარე დარიცხვა: 389.59
ძველი დავალიანება: 127.63
გადახდილი თანხა: 319.00
სულ გადასახდელი: 198.22
გადახდის ბოლო ვადა: 10.02.2014
თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი" უფლებას იტოვებს შეგიწყვიტოთ გაზმომარაგება. მიწოდების აღდგენის ხარჯების დაფარვა

ტარიფის გადახდის რა მექანიზმი შეიმუშავა კომპანიამ ახალი წლის დღეებში

ისნის რაიონში, ყვარლის ქუჩა №90-ში, აბონენტს ზურაბ მეგრელიშვილს (ამავე მისამართზე ცხოვრობს ჟურნალისტი ვანო პავლიაშვილი) „ყაზტრანსგაზიდან“ 28 იანვარს ქვითარი მიუვიდა. ქვითარზე გახარჯული გაზის ანათვალი 2014 წლის 3 იანვრიდან, 24 იანვრამდეა მითითებული და თუ აბონენტი გადასახადს — 198 ლარს, 10 თებერვლამდე არ გადაიხდის, კომპანია გაზს გაუთიშავს. „ვერსიასთან“ საუბრისას ვანო პავლიაშვილმა აღნიშნა, რომ 2014 წლის 13 იანვარს უკვე გადაიხადა გახარჯული გაზის საფასური — 190 ლარი, ქვითარზე კი მითითებული იყო, რომ თუ გადასახადს 2014 წლის 20 იანვრამდე არ დაფარავდა, კომპანია გაზს გათიშავდა. **ვანო პავლიაშვილი** ამბობს, რომ „ყაზტრანსგაზთბილისში“ ურცხვად იტყუებიან, რადგან აბონენტს იანვარში, თითქმის ორჯერ უწევს მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდა:

„კომპანიაში დავრეკე და ვინმე ნინომ ამიხსნა, რომ გადასახადი, რომელიც 2014 წლის 13 იანვარს გადავიხადე, 2013 წლის 4 დეკემბრიდან, 27 დეკემბრის ჩათვლით აღრიცხული ანათვალი იყო. თუმცა ქვითარზე ეწერა, რომ ეს იყო 2013 წლის 4 დეკემბრიდან 2014 წლის 3 იანვრამდე მოხმარებული გაზის გადასახადი. ახალ ქვითარზე, რომელიც 28 იანვარს მივიღე, მითითებულია, რომ ანათვალი 3 იანვრიდან 24 იანვრამდე პერიოდს მოიცავს. უკაცრავად, მაგრამ 24 იანვრიდან 31 იანვრამდე პერიოდი სად არის დაანგარიშებული, როდის ან რა მექანიზმით უნდა დაიანგარიშონ? 7 დღის განმავლობაში, გაზს იპარავენ და მე თვეში ორჯერ რატომ მიწევს გადასახადის გადახდა? თან ცინიკურად „მამშვიდებენ“, რომ ჩემნაირ მდგომარეობაში 500 000 აბონენტია, ეს რას ნიშნავს?“, — განუცხადა „ვერსიას“ ვანო პავლიაშვილმა.

„ვერსია“ კომპანია „ყაზტრანსგაზთბილისის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, **ეკა სარიას** დაუკავშირდა:

— ვანო პავლიაშვილთან ანათვალი აიღეს 2013 წლის 4 დეკემბრიდან 27 დეკემბრის ჩათვლით და გადასახადი — 127 ლარი მიუვიდა 2014 წლის 13 იანვრამდე. მინდა, კარგად გაიგოთ, რომ მისი ანათვალი უნდა აღებულიყო 2013 წლის 4 დეკემბრიდან, 2014 წლის 4 იანვრამდე. იმ აბონენტებისთვის, რომლებსაც არ ემთხვეოდათ გადასახადი თვის დასაწყისიდან თვის ბოლომდე და გადადიოდა ორ თვეზე, იმის გამო, რომ წლის დასაწყისში — 1, 2 და 3 იანვარს არ მივსულიყავით, რადგან ვცდილობთ, ახალი წლის დღეებში არ შევაწუხოთ, ანათვალი ავიღეთ 4 დეკემბრიდან 27 დეკემბრამდე. გარდა ამისა, ყოველი წლის ბოლოს საფინანსო წელს ვხურავთ, რადგან გვინდა, ზუსტად ვიცოდეთ, რამდენია ანათვალი. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობთ, 27, 28, 29, 30 დეკემბერს მოვასწროთ მთელი თბილისის შემოვლა. ვანო პავლიაშვილთანაც 27 დეკემბერს მივიდნენ იმიტომ, რომ 4 იანვარს არ მისულიყვნენ და, რადგან 27 დეკემბრის ჩათვლით, შედარებით მცირე იყო გადასახადი — 127 ლარი, მას ქვითარი მიუვიდა სამ დღეში. ქვითარზე ვადა 20 იანვარი ისევე იყო მითითებული, როგორც ეს იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუკი 4 იანვარს მიუტანდნენ, რადგან აბონენტებს ორ-კვირიან ვადას ვაძლევთ. ამიტომ იყო გადასახდელი ვადა 20 იანვრამდე მითითებული, თორემ ქვითარი დეკემბრის ბოლოს მიუვიდა და თან, ეს არ იყო სრული ერთი თვე. ამის შემდეგ, ჩვენ ხომ იანვრის ანათვალიც უნდა აგვეღო? რეალურად, 27 დეკემბრის შემდეგ, ვანო პავლიაშვილის ბინაში აღარ შევსულვართ, შესაბამისად, 27 დეკემბრიდან 27 იანვრამდე, ანუ ერთთვიანი შუალედი რომ დაგვეხურა, ახლა მივედით და დღეს მიუვიდა მეორე ქვითარი, სადაც მითითებულია 198 ლარი. გარდა ამისა, ქვითარზე წერია, რომ გადახდის ვადა ისევ ორი კვირაა, ოღონდ 10 თებერვლამდე. ვუთხარი კიდეც ვანო პავლიაშვილს, რომ ქვითარზე მითითებული გახარჯული გაზის რაოდენობა ემთხვევა თუ არა მისი გაზის მრიცხველზე დაფიქსირებულ მონაცემებს და მიპასუხა, რომ ემთხვევა. პრობლემა ისაა, რომ, რადგან ის ყოველი თვის 20 რიცხვში იხდიდა გადასახადს, ახლა რატომ უნდა გადაიხადოს 10 თებერვალს? ვანო პავლიაშვილი ითხოვს, ვადა 20 თებერვლამდე მივცეთ, მე კი ვუხსნი, ყოველთვის ქვითარზე ორკვირიანი პერიოდია მითითებული. დეკემბერში ერთი კვირით ადრე რომ მივედი და ერთი კვირით ნაკლები რომ გადაიხადა, ეს ხომ გარკვეული შეღავათი იყო საახალწლოდ? რატომ გადაიხადა 20 იანვარს და რატომ ინახავდა ქვითარს ერთი თვე, მანამდე გადაეხადა.

— ეკა, გადახდის ეს მექანიზმი იწვევს დაბნეულობას, თან ასეთ მდგომარეობაში 500 000 აბონენტი ყოფილა. არ შეიძლება, გაზის გადასახადის უფრო მარტივი და ყველასთვის გასაგები პრინციპი შემოიღოთ?

— ტყუილია, 500 000 აბონენტი ამ დღეში როგორ იქნება, როდესაც „ყაზტრანსგაზთბილისს“ ამ რაოდენობის აბონენტი საერთოდ არ ჰყავს. ეს მექანიზმი ყველა აბონენტს არ ეხება, მხოლოდ მათზეა გათვლილი, რომელთა გადასახადიც თვიდან თვეზე გადადის. ასეთი გაუგებრობა რომ არ მოხდეს, წელს დარიგებულ ქვითრებზე, ზედმიწევნითაა ახსნილი, რა პერიოდს ეხება ანათვალი. უმჯობესი იქნება, თუკი ქვითარზე მითითებულ ვადებს დააკვირდებიან. წინა ქვითარზე უწერია 4 დეკემბრიდან 27 დეკემბრამდე — არასრული თვე დავარიცხეთ და ძალიან დიდი საგადასახადო პერიოდი მივეცით გადახდისთვის. თითქოს საახალწლო დათმობა გავაკეთეთ, მაგრამ ახლა ისე გამოვიდა, რომ იგივე პერიოდი მივეცით, არადა, ახალ ქვითარზე უწერია, რომ 2013 წლის 27 დეკემბრიდან 2014 წლის 27 იანვრამდე იხდის გადასახადს, რაც სრული ერთი თვეა. ახლა მკითხავთ, რატომ არ მოვიცადეთ და რატომ არ მივედით 4 თებერვალს. არადა, 4 თებერვალს რომ მივსულიყავით, მას უკვე თვენახევრის განმავლობაში გახარჯული გაზის საფასურის გადახდა მოუწევდა. ასე რომ მოვქცეულიყავით, მოსახლეობა გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ თვენახევრის გადასახადის გადახდა მოუწევდა. ეს ყველაფერი ქვითარზე გასაგებად წერია, მაგრამ ვინც ყურადღება არ მიაქცია, ჩვენი ბიზნესცენტრის წარმომადგენლები მზად არიან. მათთვის კიდევ ერთხელ, გასაგებად განმარტონ. ახლა, თქვენი გაზეთის დახმარებით, კიდევ ერთხელ მეძლევა საშუალება, განვუმარტო მოსახლეობას და ვთხოვო, გაგებით შეხვდეს ამ ყველაფერს. აბონენტები უნდა მიხვდნენ, რომ ზედმეტს არაფერს ვარიცხავთ. თუ ქვითარზე, დავალიანების გრაფაში აღნიშნული მოხმარებული გაზის რაოდენობა მრიცხველზე დაფიქსირებულ რაოდენობას არ ემთხვევა, მაშინ მათ მართლაც აქვთ საფუძველი, განგაში ატეხონ, თუმცა ასეთი შემთხვევა კარგა ხანია, არ ყოფილა და ვამაყობთ, რომ ეს ხარვეზი საბოლოოდ გამოვასწორეთ.

— ვანო პავლიაშვილის გარდა, სხვა აბონენტებიც უკმაყოფილოები არიან და აპირებენ, სახალხო დამცველს საჩივრით მიმართონ. გარდა ამისა, ახალი წლის წინა დღეებში, ყოველთვის ასეთი ვითარებაა, არ შეიძლება, ჩვეულებრივი პრინციპით გადაიხადონ, მაგალითად, 2013 წლის 4 დეკემბრიდან, 2014 წლის 4 იანვრამდე, როგორც ეს სხვა თვეებში ხდება?

— იმიტომ აგიხსენით დეტალურად, რომ 2014 წლის 4 იანვარი შაბათი იყო. ზოგიერთი შემთხვევა იქნებოდა 1 დეკემბრიდან — 1 იანვრამდე, 2 დეკემბრიდან — 2 იანვრამდე და ასე შემდეგ. როგორ ფიქრობთ, 1, 2, 3 და 4 იანვარს ანათვლებისთვის ვიაროთ? ესეც გარკვეული უკმაყოფილების მიზეზია, რადგან ბევრს არ მოსწონს, საახალწლო დღეებში, გაზის მრიცხველის შესამოწმებლად რომ მიდიან. კარს არ აღებენ, ამბობენ, რომ ახალი წელია, ქეიფობენ და რა დროს გაზის ქვითარია, ამ დროს, ზოგი ნასვამია და სულ არ უნდა ჩვენი შემმოწმებლის დანახვა. მთავარი მიზეზი ისაა, რომ ყოველი წლის ბოლოს, საფინანსო წელი იხურება. შესაბამისად, გვჭირდება სრული ინფორმაცია, ზუსტად 2013 წელს მოხმარებული გაზის შესახებ. ჩვენ რომ იანვრის პირველ დღეებში ვიაროთ, მაშინ საშუალო არითმეტიკულით, დაახლოებით რაოდენობას კი გამოვიყვანთ, მაგრამ ეს ზუსტი ანათვალი არ იქნება, ამიტომ ვცდილობთ, მაქსიმალურად ზუსტი ანათვალი გავაკეთოთ, რადგან პასუხისმგებელნი ვართ სასამართლოს, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) და ფინანსთა სამინისტროს წინაშე.

ვანო პავლიაშვილი კატეგორიულად უარყოფს ეკა სარიას განმარტებებს და აზუსტებს, რომ გაზის გადასახადი 2014 წლის 20 იანვარს კი არა, 13-ში, ბანკომატის საშუალებით გადაიხადა. თანაც 127-ის ნაცვლად, 189 ლარი და მეტი დამაჯერებლობისთვის, „ვერსიას“ ორივე ქვითარი გადასცა. ჟურნალისტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირველ ქვითარზე მითითებული იყო ანათვალის ვადა — 2013 წლის 4 დეკემბრიდან, 2014 წლის 3 იანვრის ჩათვლით. ახლა ჟურნალისტი ვანო პავლიაშვილი, კონსულტაციას გადის იურისტებთან, რადგან „ყაზტრანსგაზთბილისის“ წინააღმდეგ, სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

რა თქმა უნდა, პრობლემა მართლაც სერიოზულია. იმის ნაცვლად, რომ კომპანიის ხელმძღვანელობამ, ენერგეტიკის სამინისტრომ, სემეკ-მა და ენერგოომბუდსმენმა, გამოცდილ და პროფესიონალ ენერგეტიკოსებთან ერთად, ტარიფის შემცირების მექანიზმზე იმსჯელონ, დეკემბერსა და იანვარში, საფინანსო წლის დახურვისა და ზუსტი მონაცემების დადგენის მოტივით, გადახდის ისეთი მექანიზმი შეიმუშავეს, რამაც მოსახლეობა შოკში ჩააგდო. ვინ უნდა დაიცვას აბონენტების ინტერესები? ცხადია, ენერგოომბუდსმენმა **ნინო გულეიშვილმა**, რომელმაც „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ მომხმარებელმა ზედმეტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიხადოს:

„სამწუხაროდ, დღეს (კომენტარი 28 იანვარს ჩავწერეთ) გადმოვედით ქუთაისიდან თბილისში, თორემ დღესვე გავარკვევდი ამ ვითარებას, თუმცა ვთხოვ ჟურნალისტს, ვანო პავლიაშვილს, აუცილებლად დამიკავშირდეს, მომაწოდოს სრული ინფორმაცია და გპირდებით, ამ პრობლემის მოგვარებაში დავეხმარები. გარდა ამისა, ქვითარზე აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, რა ვადის ანათვალის გადახდა უწევს აბონენტს და რა ვადაში უნდა დაფაროს. თუ პირობითად, აბონენტმა 20 იანვრამდე უნდა გადაიხადოს გაზის გადასახადი და ვერ მოახერხებს გადახდას, კომპანიამ გაზი 20 იანვარს კი არა, ხუთი დღის ვადაში უნდა ჩაჭრას. რაც შეეხება საფინანსო წლის დახურვას და ამასთან დაკავშირებით, გადახდის გრაფიკის შეცვლას, ასეთი რამ საქართველოს კანონმდებლობაში არ წერია! მეტიც, 5 წელია, ამ სისტემაში ვმუშაობ და არც ერთი კომპანიისგან მსგავსი ქმედება არ მახსენდება!“ — განუცხადა „ვერსიას“ ნინო გულეიშვილმა.

მთავრობის კანცელარია ადმინისტრაციად გარდაიქმნება

როგორც მთავრობის განცხადებაშია აღნიშნული, ამ მიზნით კანცელარიაში სერიოზული ცვლილებები და რეფორმებია დაწყებული.

„პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, სახელმწიფო კანცელარიაში დაწყებულია სერიოზული ცვლილებები და რეფორმები, რომლებიც, ერთი მხრივ, გამოწვეულია იმ საკონსტიტუციო ცვლილებებით, რომლითაც პრემიერ-მინისტრის უფლება-მოვალეობები მნიშვნელოვნად გაზრდილია და, მეორე მხრივ, არსებობს აუცილებლობა, გაძლიერდეს მთავრობის მუშაობის კოორდინაცია. საქართველოს მთავრობა გადადის უფრო ეფექტიან, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის ფორმებზე, რომელიც გულისხმობს კვალიფიციურ კადრებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს და მოქნილ, შედეგზე ორიენტირებულ მენეჯმენტს. მთავრობის კანცელარია ადმინისტრაციად გარდაიქმნება, რაც არ გულისხმობს მხოლოდ სახელწოდების ცვლილებას. განხორციელდება მნიშვნელოვანი სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებები, რომლებიც დაეფუძნება საჯარო მმართველობის ევროპულ მოდელს. ვაპირებთ, მჭიდროდ ვითანამშრომლოთ საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ასევე ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან. ყალიბდება დასავლური სტრუქტურა. მთავრობის კანცელარია იმუშავებს ისე, როგორც მუშაობს ევროპის ქვეყნების მთავრობის ადმინისტრაციები. ამაში მთავრობას დაეხმარება არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის, ევროკავშირი, რომელმაც უკვე მოამზადა არსებული სტრუქტურის ანალიზი და რეკომენდაციები მთავრობის მუშაობის კოორდინაციასა და სტრატეგიულ დაგეგმვაზე. რეფორმის პროცესში ჩართულია ევროკავშირი, შ, და სხვა დონორები. უკვე დაიწყო მუშაობა რეორგანიზაციის ფარგლებში ჩამოყალიბებულმა პრემიერ-მინისტრთან არსებულმა საბჭოებმა. აქაც გათვალისწინებულია განვითარებული ქვეყნების მაგალითები და დონორების რეკომენდაციები. ამაში დაგვეხმარებიან პარტნიორი ქვეყნები: აშშ, ბრიტანეთი და ისრაელი. პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაცია ორიენტირებული იქნება კვალიფიციურ კადრებზე, გამოყენებული იქნება ყველა ის ადამიანური რესურსი, რომელიც ქვეყანას გააჩნია. გამოცხადდება კონკურსები, რათა იმ ახალგაზრდებს მიეცეთ ასპარეზი, რომლებსაც განათლება მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში აქვთ მიღებული და არ ჰქონდათ საშუალება, თავიანთი ცოდნა საქართველოში გამოეყენებინათ“, — ნათქვამია მთავრობის განცხადებაში.

„პირველი“

სხვადასხვა რელიგიური კონფესიები, დაახლოებით, 4,5 მილიონ ლარს მიიღებენ

სახელმწიფო ზარალს აუნაზღაურებს იმ რელიგიურ გაერთიანებებს, რომლებიც საბჭოთა პერიოდში სისტემური წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ, — ამის შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, პაატა ზაქარეიშვილმა მთავრობის სხდომის შემდეგ განაცხადა.

მინისტრის თქმით, კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, მთავრობა ზარალს უნაზღაურებდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, მაგრამ სხვა რელიგიური გაერთიანებები, რომლებმაც საბჭოთა პერიოდში არანაკლები ზარალი მიიღეს, დახმარებისმიღმა რჩებოდნენ.

„ამ ჩამონათვალში შევიდა ოთხი რელიგიური მიმართულება — ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური ეკლესიები. ეს საკმაოდ სერიოზული, წინგადადგმული ნაბიჯია, ეს ინიციატივა ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილისგან წამოვიდა, რომელმაც მკაფიოდ დააყენა ამ ღონისძიების განხორციელების საკითხი და ირაკლი ღარიბაშვილმა, თანამდებობაზე დანიშვნისთანავე, ამ თემაზე მუშაობა დაიწყო. კმაყოფილი ვარ, რომ ორივე პრემიერ-მინისტრის უშუალო დავალება ძალიან სწრაფად შევასრულეთ“, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, სახელმწიფოს მხარდაჭერას მიიღებს მორწმუნე ადამიანების 90% და სხვა რელიგიური გაერთიანებების ზარალისაც თანდათან შეისწავლიან.

„თემა არ დახურულა და სხვა მიმართულებებზეც ვიმუშავებთ. ჯერჯერობით საუბარია ზოგად თანხაზე, რომელიც პროპორციულად განაწილდება. თანხის ზედაზღვარი 4,5 მილიონი ლარით განისაზღვრება“, — აღნიშნა ზაქარეიშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

ფეხმძიმე ქალის ალკოჰოლიზაცია და მისი უარყოფითი გავლენა ბავშვისა და მოზარდის ფსიქიკაზე

დიდი ხანია დადგენილია ლოთი მშობლების მიზეზით შთამომავლობის ფსიქიკური ანომალიის რთული ფორმების აღმოცენება. ბავშვის განვითარებაზე განსაკუთრებული სიმძიმით მოქმედებს არამარტო დედის ლოთობა, არამედ ორსულობის პერიოდში სპირტიანი სასმელის ეპიზოდური მიღებაც კი. აღნიშნულ პირობებში, ხშირად გამოუსწორებლად ზიანდება ნაყოფისა და ბავშვის ორგანოები, სისტემები და, უპირველეს ყოვლისა, ნერვული სისტემა.

დაკვირვების თანახმად, დედის ალკოჰოლიზმამდე, დაბადებულ ბავშვთა 75%-ში დადგენილია ფსიქიკურად ჯანმრთელი ბავშვი, ხოლო ალკოჰოლიზმის საწყის სტადიაში ჯანმრთელი ბავშვი იბადება 25%-ში. ეს პროცენტი პროგრესულად იზრდება დედის დაავადების მატებასა და გაღრმავებასთან ერთად. მხოლოდ მამის ალკოჰოლიზმთან დაკავშირებით ბავშვთა ზემოთგადმოცემული რაოდენობა თითქმის არ იცვლება. დეფექტურ ბავშვთა რიცხვი მატულობს ორივე მშობლის მიერ სპირტიანი სასმელის ბოროტად გამოყენების დროს, მაგრამ, საყურადღებოა, რომ ასეთ პირობებში, ძირითადად, მნიშვნელობა ენიჭება დედის ალკოჰოლიზმს.

ნაყოფისა და ბავშვის ნერვული სისტემით დაზიანების სიღრმე ყოველთვის არ არის პირდაპირ კავშირში მიღებული სპირტიანი სასმელის რაოდენობასთან. ხშირ შემთხვევაში, ნაყოფის ალკოჰოლური ემბრიოპათური სინდრომი და ბავშვის ორგანიზმის სხვადასხვა სახის დეფექტი ვითარდება დედის მიერ ალკოჰოლის მიღების დროსაც. ორსულობის პერიოდში ალკოჰოლის მიღების დროს, დაახლოებით, 30%-40%-ში, დადგენილია ახალშობილის ალკოჰოლური ემბრიოპათიური სინდრომი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ზოგიერთი ფიზიკური და გონებრივი დეფექტი და შინაგანი დაზიანება.

აღწერილია აგრეთვე ნაყოფისა და ახალშობილის ალკოჰოლური აბსტინენციის (წყურვილის) სინდრომი. პირველ შემთხვევაში, დედა გრძნობს ნაყოფის მუდმივ მოძრაობასა და მოუსვენრობას, მაგრამ საკმარისია, ორსულმა მიიღოს სპირტიანი სასმელი (იგულისხმება მსმელი დედა), ნაყოფი მაშინვე „მშვიდდება“. მეორე შემთხვევაში, ახალშობილი ასევე საშინლად მოუსვენარია, გამუდმებით ტირის, არ იძინებს, ძუძუს არ ეკარება: აღნიშნული მდგომარეობა სწორდება დედის მიერ სასმელის მიღებისთანავე.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ფეხმძიმე ქალის მიერ სპირტიანი სასმელის მიღებისას, ნაყოფი იმყოფება ალკოჰოლის შხამიანი გავლენის ქვეშ, რის გამოც ნაყოფი არასრულღირებულოვნად ვითარდება და შედეგი — ფიზიკური და ფსიქიკური მანკიერებაა.

ლოთი დედისა და ასევე, ხშირ შემთხვევაში, ორსულობის პერიოდში ალკოჰოლის ეპიზოდურად მომხმარებელი დედის ბავშვების ფიზიკური დეფექტებიდან, უპირატესად, გვხვდება პატარა თავის ქალა, არასიმეტრიული სახე, დეფორმირებული ყურები, მგლის ტუჩი, ზრდის შეჩერება, სასქესო ორგანოების განუვითარებლობა, შინაგანი ორგანოების ანომალია და სხვა. ფსიქონერვული სფეროს ანომალიიდან აღსანიშნავია ბავშვის ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობა ან განვითარების ტემპის გამოხატული შეფერხება, ეპილეფსიური გულყრები ან სხვა სახის კრუნჩხვები, მეტყველების დეფექტი ან მისი სრული განუვითარებლობა. მოტორულ სფეროში ხშირია დამბლა, ზოგჯერ მოძრაობითი შეუძლებლობა (გარდა ხოხვისა და ცოცვისა). ლოთების ბავშვები არაიშვიათად გამოირჩევიან ქცევის მოშლით, ფსიქოპათიური გამოვლინებებით, მიდრეკილებებით კანონსაწინააღმდეგო და დანაშაულებრივი ქმედებებისადმი. ისინი ადრე იწყებენ სპირტიანი სასმელის, ნარკოტიკული და ტოქსიკური ნივთიერებების მიღებას.

სპეციალურად უნდა შევჩერდე ოჯახური „ალკოჰოლური“ ატმოსფეროს და, განსაკუთრებით, დედის ლოთობის შედეგად აღმოცენებული ფსიქიკური ანომალიისა და ქცევის მოშლის ზოგიერთი ფორმის მნიშვნელობაზე მოზარდთა ანტისაზოგადოებრივი ქცევის და დანაშაულებრივ შედეგებში.

ოჯახის ალკოჰოლურ გარემოში ბავშვები იზრდებიან უზედამხედველოდ ე.წ. ჰიპოპროტექციის პირობებში. ასეთ ოჯახებში სუფევს მუდმივი დაძაბულობა, სისტემატიური კონფლიქტური სიტუაცია ოჯახის წევრებს შორის, ხშირია ალკოჰოლური ღრეობა, რომელსაც არაიშვიათად სდევს ერთმანეთის ფიზიკური შეურაცხყოფა, აგრესიულობა, სისასტიკე და ამორალური ქცევა. აღნიშნულ ვითარებაში ზედმეტია საუბარი ბავშვის სწორ აღზრდაზე, სწორი პიროვნული და სოციალური მიმართებების ჩამოყალიბებაზე... და როგორც შედეგი, უმრავლეს შემთხვევაში, ბავშვის პიროვნების ანომალიური (ფსიქოპათიური) განვითარება, რასაც მნიშვნელოვნად ხელს უწყობს დატვირთული მემკვიდრეობა. ასეთი გზით აღმოცენდება, როგორც ფსიქოპათიურ, ისე ძნელადაღსაზრდელ ბავშვთა და მოზარდთა გარკვეული კატეგორია, პედაგოგიური ჩამორჩენილობით და სოციალური ხელმიშვებულობით. დადგენილია, რომ რიგ აღსაზრდელთა, დაახლოებით, 40% სჩადის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას. სწორედ „რთული“ ბავშვები და მოზარდები წარმოადგენენ იმ ძირითად ბაზას, რომელთა ფონზე, შემთხვევათა უმრავლესობაში აღმოცენდება არამარტო მოზარდთა ალკოჰოლიზმი, არამედ დანაშაულებრივი ქმედებაც კი.

რაც შეეხება საერთოდ ფსიქოპათიური ქცევის მოზარდებს, ისინი 15-16-ჯერ უფრო მეტ დანაშაულს სჩადიან, ვიდრე მათი თანატოლები, ხოლო 7-10-ჯერ მეტს, ვიდრე ეპილეფსიით დაავადებულნი.

ალკოჰოლიზმით დაავადებულ მშობელთა ოჯახში გაზრდილი ბავშვები და მოზარდები ნაადრევად ეჩვევიან სპირტიან სასმელებს. მათში ორჯერ სწრაფად ვითარდება ლოთობის გამოხატული ნიშნები და პიროვნების დეგრადაცია, ვიდრე ზრდადასრულებულ პირებში.

მშობელთა ალკოჰოლიზმისა და, განსაკუთრებით, ლოთი დედების მიზეზით, ბავშვთა უმრავლესობა იბადება სხვადასხვა სიღრმის გონებრივი ჩამორჩენილობით. ასეთი ფსიქიკის მოზარდები 2.5-3-ჯერ უფრო ხშირად სჩადიან კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, ვიდრე მათი ნორმალური თანატოლები.

მეტად დიდია ალკოჰოლის ხვედრითი წილი დანაშაულებრივ ქმედებაში. სტატისტიკით დადგენილია, რომ სპირტიან სასმელს სისტემატურად იღებს ქურდების 58%, მძარცველთა 67%, მკვლელთა 74%, ხულიგნების 84%. დამნაშავე რეციდივისტთა უმრავლესობას ალკოჰოლის მიღება დაწყებული აქვს მოზარდის პერიოდში და პირველი დანაშაულიც ჩადენილი აქვს არასრულწლოვან ასაკში.

აი, რა დამღუპველი გავლენა აქვს მშობლებისა და, კერძოდ, დედის ლოთობას მათი შვილების ფიზიკურ, ფსიქიკურ განვითარებაზე, პიროვნების ჩამოყალიბებასა და სოციალურ პერსპექტივაზე. „ალკოჰოლურ“ გარემოში დაბადებული და გაზრდილი ბავშვი გარკვეულ პერიოდში აუცილებლად საჭიროებს ბავშვთა ფსიქონევროლოგის ყურადღებას.

მირიან მესტიაშვილი
ბავშვთა და მოზარდა ფსიქიატრიის
ერთ-ერთი ფუძემდებელი
მ. ასათიანის სახელობის პრემიის ლაურეატი
პროფესორი-აკადემიკოსი

ევროინტეგრაციას ვემხრობით, მაგრამ არ ვიცით, რატომ

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

ერთ დროს „ნარინჯისფერ“ უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა, უკრაინელ ხალხს დაანახა, რომ გზა ევროკავშირისკენ იმაზე რთულია, ვიდრე წარმოედგინათ, ევროკავშირმა კი ის უნდა დაინახოს, რომ ამ რთულ გზაზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს მისგან მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ — ასეთია ბევრი საერთაშორისო პოლიტოლოგის მოსაზრება. უკრაინელები ფსიქოლოგიურად აღმოჩნდნენ მზად, თვეების განმავლობაში არ დაეყარათ ფარხმალი და არ გადაეხვიათ ევროპისკენ მიმავალი გზიდან. პოლიტოლოგების აზრით, უკრაინის შემდეგ, რუსეთი საქართველოსთვისაც მოიცლის — მოვლენები ასე მძაფრად, ალბათ, არ განვითარდება, მაგრამ ევროკავშირთან ასოცირების დოკუმენტის პარაფირების შემდეგ, მშვიდი და უდარდელი წელი ნამდვილად არ გველის. რამდენად იქნება ქართული საზოგადოება მზად, ლოკალური პროვოკაციების, სირთულეებისა და რუსეთის მიერ შექმნილი პრობლემების ფონზე, ბოლომდე იბრძოლოს ევროკავშირში გაწევრიანებისთვის? ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად აქვს საქართველოს მოსახლეობას გააზრებული, რას ნიშნავს ევროპული ოჯახის წევრობა? იცის თუ არა, რას ნიშნავს ევროკავშირი, რას აკეთებს ეს გაერთიანება საქართველოსთვის დღეს და რას მიიღებს ჩვენი ქვეყანა ევროკავშირში გაწევრიანებით? წლების წინ, ზურაბ ჟვანიას სიტყვები — „მე ვარ ქართველი, მაშასადამე — ვარ ევროპელი“ — ქართულმა საზოგადოებამ მოიწონა და მიიღო, მაგრამ რამდენად აქვს ჩვენს მოსახლეობას გააზრებული მისი არსი და რამდენად მზადაა, თავს ევროპელიც უწოდოს? — სწორედ ამ კითხვებზე პასუხის მიღება იყო იმ კვლევის მთავარი მიზანი, რომელიც ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ინიციატივით, CRRC საქართველოს მიერ, შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის მხარდაჭერით ჩატარდა. კვლევის შედეგად წარმოდგენილ ანგარიშში სამი ეტაპია განხილული: 2009 წელი ანუ აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდი, 2011 წელი და 2013 წელი — საპარლამენტო არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლის შემდგომი პერიოდი. კვლევისას ცალკე გამოიკითხა საქართველოს სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეები, რათა ნათელი ყოფილიყო, როგორია საქართველოში მცხოვრები ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების შეხედულებებიც.

კვლევისას გამოიკვეთა — ხვალ რომ რეფერენდუმი ჩატარდეს, მოსახლეობის 83% მხარს დაუჭერდა ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას. გაწევრიანების ენთუზიაზმი კვლავ ძლიერია, 2009 წლის შემდეგ, არც ევროკავშირის ზოგადი აღქმა შეცვლილა — მოსახლეობის 48%-ს დადებითი წარმოდგენა აქვს ევროკავშირის შესახებ, 42%-ს ნეიტრალური და მხოლოდ 6%-ის დამოკიდებულებაა ამ გაერთიანების მიმართ უარყოფითი. სხვაგვარი ვითარებაა ეთნიკურ უმცირესობებში — ისინი ნაკლებად არიან დარწმუნებულნი, რომ ევროინტეგრაცია საქართველოსთვის სასიკეთო იქნება და, შესაბამისად, უმრავლესობა მხარს არ უჭერს ევროკავშირში საქართველოს გაერთიანებას. მოსახლეობის უმრავლესობამ იცის, რომ ევროკავშირი, მის რიგებში შესვლის მსურველ ქვეყნებს გარკვეულ პირობებს უყენებს. კონკრეტულად, პირობების შესახებ ინფორმაცია ნაკლებად აქვთ, მაგრამ ზოგადად, მოსახლეობის 80%-ზე მეტს მიაჩნია, რომ საქართველო ევროკავშირში შესასვლელად მზად არ არის. გამოკითხული მოსახლეობის 1/3 იმასაც ფიქრობს, რომ არც ევროკავშირის წევრი ქვეყნები იქნებიან მოხარულები, თავის რიგებში საქართველოს თუ იხილავენ. ზოგადი დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ დადებითია — მოსახლეობის 2/3 მიიჩნევს, რომ ევროკავშირი ევროპაში მშვიდობისა და უსაფრთხოების წყარო, დემოკრატიული გაერთიანებაა, რომელიც მხარს უჭერს დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარებას არაწევრ სახელმწიფოებში. თითქმის პარადოქსული ფაქტია, რომ მიუხედავად ამისა, 2013 წლის გამოკითხვის შედეგების თანახმად, საქართველოში უფრო და უფრო მეტი მოქალაქე მიიჩნევს, რომ ევროკავშირი იმპერიის ახალი ფორმაა, რომელიც საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს, ამის დამადასტურებელია მაგალითად ის, რომ საზოგადოებაში, ბოლო დროს, „დამკვიდრდა“ აზრი, თითქოს, ევროკავშირი, თავის რიგებში მისაღებად, საქართველოს ერთსქესიანი ქორწინების დაკანონებას სთხოვს. ევროპული ღირებულებების მიმდევარ პოლიტიკოსებს არაერთხელ მოუწიათ ახსნა, რომ ევროკავშირი საქართველოს ასეთ მოთხოვნებს არ უყენებს, მსგავსი ინფორმაციის კი გავრცელება, ალბათ, იმის ბრალია, რომ, როგორც ირკვევა, საქართველოს მოსახლეობას არ აქვს სათანადო ინფორმაცია ევროკავშირის, მისი ფუნქციების, საქართველოში მისი როლისა და იმის შესახებ, რას მოუტანს ჩვენს ქვეყანას ევროინტეგრაცია. ამ მხრივ, განსაკუთრებულ „ინფორმაციულ შიმშილს“ ეთნიკური უმცირესობები განიცდიან და არცაა გასაკვირი, რადგან მათ ენობრივი ბარიერიც უქმნის პრობლემას, ასევე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ინტერნეტზე, მედიასაშუალებებზე... ასე რომ, თუ პოლიტიკოსებს, მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას სურს, საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერა გაიზარდოს, უკეთ უნდა აუხსნან მოსახლეობას, რა ხელშესახებ ეკონომიკურ სარგებელს მოიტანს ევროინტეგრაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვითარება არ შეიცვლება — კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში არაერთ მოქალაქეს ჩვენი ქვეყანა უკვე ჰგონია ევროკავშირის წევრი, ბევრმა არ იცის, რამდენი წევრია ამ გაერთიანებაში, არც იმის შესახებ აქვს ინფორმაცია, რომ არსებობს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, მიმდინარეობს დიალოგი ევროკავშირსა და საქართველოს შორის. გაურკვევლობაა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან დაკავშირებითაც — მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, საერთოდ, არ იცის, რა დანიშნულება აქვს ამ სტრუქტურას. გამოკითხულთა მხოლოდ 29%-მა თქვა, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ხელს უწყობს ვითარების დარეგულირებას კონფლიქტურ ზონებში, 24% ფიქრობს, რომ ეს სტრუქტურა საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული რეფორმების განხორციელებას უწყობს ხელს. ამ მხრივ სავალალო ვითარებაა უმცირესობებში — მხოლოდ 5%-ს აქვს ინფორმაცია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესახებ.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ იცის, რომ ევროკავშირი ჩვენს ქვეყანას გარკვეული სახის დახმარებას უწევს, მაგრამ რა მიზნით იხარჯება დაფინანსება, წარმოდგენა არ აქვთ. უმრავლესობას მიაჩნია, რომ ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხები მაღალჩინოსნების ჯიბეში მიდის და არანაირ კონკრეტულ საქმეს არ ხმარდება.

რა შეიცვლება საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ? — მოსახლეობა ელის, რომ გაიზრდება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი და გაუმჯობესდება ეკონომიკური მდგომარეობა ანუ ევროინტეგრაციის გზას, ქვეყნის ყველაზე მწვავე პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ საშუალებად განიხილავენ, თუმცა მოსახლეობის მესამედი შიშობს, რომ ევროკავშირი „საფრთხეს შეუქმნის ქართულ ტრადიციებს“.

2013 წელს, ევროკავშირში ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებით, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო. ამ პერიოდში, საქართველოს მოსახლეობის 29%-მა ეს ურთიერთობა დადებითად შეაფასა, 57% მიიჩნევს, რომ ურთიერთობა ნეიტრალურია. ზოგადად, გამოიკვეთა, რომ საქართველოს მოსახლეობა (უმცირესობების გარდა) ევროფილია, თუმცა ევროინტეგრაციას ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად არ მიიჩნევს. ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ ფონზე, ეს გასაკვირი არცაა — საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას, ყველაზე მეტად უმუშევრობა და ეკონომიკური პრობლემები აწუხებს, შესაბამისად, დასაქმება და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ნომერპირველი საფიქრალია და ხელისუფლებისგანაც ევროკავშირში გაწევრიანებასა და, თუნდაც, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე მეტად, ამას მოითხოვენ.

სხვათა შორის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისადმი დამოკიდებულება 2009 წლის შემდეგ საკმაოდ შეცვლილია — ტერიტორიული მთლიანობა ყველაზე მწვავე სამ პრობლემას შორის ქართულენოვანი მოსახლეობის 39%-მა დაასახელა, უმცირესობებიდან კი 5%-მა, როცა 2009 წელს, აგვისტოს ომის მერე, ეს მაჩვენებელი, 59% იყო. ტერიტორიული მთლიანობის მნიშვნელობის კლება, სავარაუდოდ, ომის მოგონებების მივიწყებისა და ხანგრძლივი ეკონომიკური სიდუხჭირის გამოხატულებაა.

2009-2013 წლებში, ყველაზე დიდი გარდატეხა საქართველოს მოსახლეობის რუსეთისადმი დამოკიდებულებაში მოხდა — მოსახლეობის 69%-ს კი მიაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის მთავარი პარტნიორი, უმჯობესია, ევროკავშირი იყოს, მაგრამ იზრდება იმ ადამიანთა რაოდენობა, ვისაც სჯერა, რომ ოფიციალურ თბილისს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან უნდა ჰქონდეს. ამგვარ მოქალაქეთა რიცხვი, 2011-2013 წლებში, 47%-დან 65%-მდე გაიზარდა, უმცირესობებში კი ამ მხრივ ბევრი არაფერი შეცვლილა — საქართველოს არაქართველი მოსახლეობა, რუსეთს ერთ-ერთ (ერთადერთ თუ არა) მთავარ პარტნიორად ყოველთვის მოიაზრებდა. ქართველების მზარდ პოზიტიურ დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ სხვა კვლევებიც ადასტურებს: მაგალითად, CRRC-ის მიერ ჩატარებული 2012 წლის კავკასიის ბარომეტრის მიხედვით, იმ ქართველების რაოდენობა, რომლებიც რუსეთს ყველაზე დიდ მტრად მიიჩნევს, ერთ წელში, 51%-დან 35%-მდე შემცირდა. ეს შედეგი შეიძლება იმით აიხსნას, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას ცდილობს და ხელისუფალთა მხრიდანაც აღარ ისმის ანტირუსული რიტორიკა, პარალელურად, ქართული პროდუქციისთვის რუსეთის ბაზარი გაიხსნა, ნელ-ნელა „მივიწყებას მიეცა“ 2008 წლის აგვისტოს ომის მოგონებები...

საქართველოს მოსახლეობის 62%-ს მიაჩნია, რომ აუცილებელია, სკოლებში ბავშვებს ინგლისურს ასწავლიდნენ, რადგან სწორედ ამ უცხო ენის ცოდნა დაეხმარება თანამედროვე ადამიანს გარესამყაროსთან ურთიერთობაში, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს პროდასავლურ ორიენტაციაზე. 2009 წლის შემდეგ, დემოკრატიის თვალსაზრისით, ბევრი რამ შეიცვალა და ქართული საზოგადოების პოლიტიკური განათლებაც მცირედ მიუახლოვდა ევროპულს — მაგალითად, საქართველოში, ხშირად მოისმენთ ფრაზას, რომ ხელისუფლება ხალხისგანაა დაქირავებული და ამიტომ, მისი გაკონტროლება-გაკრიტიკების ლეგიტიმური უფლება აქვს... მიუხედავად ასეთი წვრილმანი „გამონათებებისა“, კვლევის შედეგად დამტკიცდა: საქართველო ჯერ კიდევ ძალიან შორსაა საერთო ევროპული ღირებულებების სრულად გაზიარებისგან და რჩება ღრმად კონსერვატიულ ქვეყნად, ქართველები კი ევროპელობით ჯერ არ ამაყობენ — ურჩევნიათ, მხოლოდ ქართველებად იწოდებოდნენ.

ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, შესაბამის ორგანიზაციებსა თუ სტრუქტურებს, რა მიმართულებით აქვთ სამუშაო — ფაქტია, ევროკავშირისა და ევროინტეგრაციის „სიკეთეების“ შესახებ საქართველოს მოსახლეობას სათანადო ინფორმაცია დროულად უნდა მიეწოდოს, რათა „ევროპული სახლისკენ“ მიმავალ რთულ გზაზე სათანადო გამძლეობა და მიზანდასახულობა გამოიჩინონ.

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვების მოქალაქეობით უზრუნველყოფისთვის კანონში სპეციალური მუხლი ჩაიდება

საქართველოში სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვი, რომლის გენეტიკური მშობლების ქვეყნები მას საკუთარ მოქალაქედ არ მიიჩნევს, დაბადებით საქართველოს მოქალაქეობას მოიპოვებს. სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის არმქონე პირად დარჩენის პრევენციის მიზნით, შესაბამისი პუნქტი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონში ჩაიდება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ავტორობით და მთავრობის ინიციატივით, პარლამენტს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ სრულიად ახალი კანონპროექტი წარედგინა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებასთან, შეწყვეტასა და აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები გადაიხედა.

პროექტით ერთ-ერთი სიახლე სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვების მოქალაქეობის საკითხია. ამასთან დაკავშირებით კანონში იწერება, რომ დაბადებით საქართველოს მოქალაქეობას მოიპოვებს საქართველოს ტერიტორიაზე ექსტრაკორპორული განაყოფიერების (სუროგაციის) გზით დაბადებული არასრულწლოვანი პირი, თუ მისი ორივე მშობლის მოქალაქეობის ქვეყანა მას საკუთარ მოქალაქედ არ მიიჩნევს. აღნიშნულ სიახლეზე იუსტიციის სამინისტრო განმარტავს, რომ ეს გამოწვეულია არსებული პრაქტიკით და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის არმქონე პირად დარჩენის პრევენციას ემსახურება.

პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეობა, ძირითადად, სისხლის პრინციპს ეფუძნება და საქართველოს მოქალაქედ მიიჩნევს ბავშვს, რომლის დაბადების მომენტისთვის, ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა. კანონის მოქმედი რედაქციით კი, ბავშვი, რომლის ორივე მშობელი, მისი დაბადების მომენტისთვის, საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქედ მიიჩნევა, დაბადების ადგილის მიუხედავად.

მოქმედი კანონით, ბავშვის მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადებისას, ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, ბავშვი საქართველოს მოქალაქედ მიიჩნევა, თუ საქართველოს მოქალაქე მშობელს საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი საცხოვრებელი აქვს. ბავშვის მიერ დაბადებით საქართველოს მოქალაქეობის მოსაპოვებლად, საქართველოს მოქალაქე მშობელთან მიმართებაში, პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების პირობას აუქმებს.

გარდა ამისა, მოქმედი კანონის გათვალისწინებით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ბავშვი, რომლის ორივე მშობელი უცნობია, სანინააღმდეგოს დადგენამდე, საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება. როგორც ამასთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტრო განმარტავს, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვის მშობლები ცნობილია, თუმცა გაურკვეველია მათი მოქალაქეობრივი კუთვნილება. ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით, აღნიშნული ნორმის მოქმედება ფართოვდება და თუნდაც მშობელთა ვინაობის იდენტიფიცირების შემთხვევაში, მათი განუსაზღვრელი მოქალაქეობრივი კუთვნილებისას, ბავშვი საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება.

პროექტით შემოღებულია იმ ბავშვის საქართველოს მოქალაქეობის განსაზღვრის რეგულაცია, რომლის ერთ-ერთი მშობელი მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მეორე განუსაზღვრელი მოქალაქეობრივი კუთვნილებისაა. ამ შემთხვევაშიც, ბავშვი საქართველოს მოქალაქედ მიიჩნევა, თუკი ის საქართველოს ტერიტორიაზე დაიბადა.

პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ ნოვაციებს საქართველოს მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით: დიფერენცირებულია სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირების საქართველოს მოქალაქედ მიღების პირობები. კერძოდ, სრულწლოვანი პირის მოქალაქედ მისაღებად უცვლელად დარჩა პირობები — საქართველოს ტერიტორიაზე 5 წლიანი ცხოვრება, სახელმწიფო ენის და სამართლის საფუძვლების ცოდნა და სამუშაო ადგილის ან საწარმოში წილების ფლობა, ხოლო ბავშვმა შეიძლება მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა, თუ მისი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა და მას დაბადებით არ მოუპოვებია საქართველოს მოქალაქეობა.

პროექტი ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული მოქალაქეობის არმქონე და ლტოლვილის სტატუსის მქონე არასრულწოვანი პირის შესაძლებლობას, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებაზე უარის თქმის პირობების გადამოწმების გარეშე მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა, თუ ის საქართველოში ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრობს.

დღეისთვის მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს გამონაკლისს ქმედუუნარო და ფიზიკური ნაკლის მქონე პირების საქართველოს მოქალაქეებად მიღებისას სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და სამართლის საფუძვლების ტესტირების გათავისუფლების თაობაზე, რაც, როგორც იუსტიციის სამინისტროს განმარტავს, მრავალ პრაქტიკულ პრობლემას ქმნის. აღნიშნულის გამოსწორების მიზნით, კანონპროექტით ტესტირებისგან თავისუფლდებიან ქმედუუნარო პირები და პირები, რომელთა ფიზიკური ნაკლის გამო, შეუძლებელია ენისა და ისტორიის ცოდნის დონის შემოწმება.

კანონპროექტით ასევე გათვალისწინებულია, რომ ლტოლვილის სტატუსის მქონე პირი, საქართველოს მოქალაქეობის მიღებისას, თავისუფლდება საქართველოში სამუშაო ადგილის ან უძრავი ქონების ქონის, საქართველოს ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ანდა საქართველოს საწარმოში წილის ან აქციების ფლობის ვალდებულებისგან.

„ინტერპრესნიუსი“

მანქანების შესყიდვა სტანდარტიზაციის ახალ წესს დაექვემდებარება

მთავრობამ სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და ავტომანქანების შესყიდვა/ჩანაცვლების წესი დაამტკიცა. ახალი წესი ბიუჯეტის ხარჯზე ავტომობილების შეძენის, ჩანაცვლებისა და გადანაწილების პროცესს დაარეგულირებს. ავტომობილის კლასიფიკაციის წესი ადგენს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს შესასყიდი ავტომობილებისთვის. დაუშვებელია დადგენილი მინიმალური ტექნიკური მოთხოვნების გაზრდა. წესის მიხედვით, სახელმწიფო ორგანიზაციების სატენდერო წინადადებებში მოთხოვნილი იქნება არა მხოლოდ შესაძენი მანქანის საწყისი ღირებულება, არამედ მანქანის საწყისი ღირებულებას დამატებული მისი ფლობის ფასი ერთი წლის განმავლობაში (საწვავის ხარჯი, მომსახურების ხარჯი და ა.შ.), რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს საბიუჯეტო სახსრებს. წესის მიხედვით, სახელმწიფო ავტოპარკი დაიყო ოთხ კატეგორიად: IV ყველაზე დაბალი კატეგორიის ავტომობილები გამოიყენება საკურიერო-საფელდეგერო მომსახურებისთვის და ქალაქის შიგნით თანამშრომელთა ტრანსპორტირებისა. ამ კატეგორიის ავტომობილის ფლობის მაქსიმალურ ფასად განისაზღვრა – $15 400 (ფასში შედის ავტომობილის საწყისის ღირებულებას დამატებული მისი ფლობის ხარჯი ერთი წლის განმავლობაში), ხოლო პირველ კატეგორიად განისაზღვრა ავტომობილები, რომლებიც მოემსახურება მინისტრის მოადგილეებსა და ამ რანგის სხვა თანამდებობის პირებს, მსუბუქი (სედანი) ავტომობილის მაქსიმალურ ფასად ამ კატეგორიაში განისაზღვრა $31 500 (ფასში შედის ავტომობილის საწყისის ღირებულებას დამატებული მისი ფლობის ხარჯი ერთი წლის განმავლობაში). III კლასის ავტომობილები გამოიყენება სამორიგეო, მომარაგების, თანამშრომლების ტრანსპორტირებისთვის ქვეყნის მასშტაბით; მოემსახურება საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ქვედანაყოფის სამსახურის უფროსი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი, რეგიონული და/ან რაიონული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და სხვა ამ რანგის თანამდებობის პირებს. ფლობის მაქსიმალური ღირებულებაა $16 800 (ფასში შედის ავტომობილის საწყის ღირებულებას დამატებული მისი ფლობის ხარჯი ერთი წლის განმავლობაში). მაღალი გამავლობის ავტომობილებისთვის $24 300 (ფასში შედის ავტომობილის საწყისის ღირებულებას დამატებული მისი ფლობის ხარჯი ერთი წლის განმავლობაში). II კლასის ავტომობილები მოემსახურება ქვემოთ ჩამოთვლილი რანგის საჯარო მოსამსახურეებს და უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: დეპარტამენტის უფროსი, მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირები და ამ რანგის სხვა საჯარო მოსამსახურეები. მსუბუქი ავტომობილების ზღვრული ფლობის ღირებულებაა $21 000 (ფასში შედის ავტომობილის საწყისის ღირებულებას დამატებული მისი ფლობის ხარჯი ერთი წლის განმავლობაში). მაღალი გამავლობის ავტომობილების ზღვრული ფლობის ღირებულება — $26 500 (ფასში შედის ავტომობილის საწყისის ღირებულებას დამატებული მისი ფლობის ხარჯი ერთი წლის განმავლობაში). პირველი კლასის ავტომობილები განკუთვნილია ქვემოთ ჩამოთვლილი თანამდებობის პირებისათვის და უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: მინისტრებისა და სახელმწიფო მინისტრების მოადგილეები და მათთან გათანაბრებული თანამდებობის პირები; საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე და მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირი. საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ეკონომიკურ საკითხებში, ეკონომიკური საბჭოს მდივანი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი და ამ რანგის თანამდებობის სხვა პირები. მაღალი განმავლობის ავტომობილების ზღვრული ფლობის ღირებულებაა $ 47 000 (ფასში შედის ავტომობილის საწყისის ღირებულებას დამატებული მისი ფლობის ხარჯი ერთი წლის განმავლობაში). დადგინდა ავტომობილების გადანაწილების წესი — 1 ცალი ავტომობილი ყოველ 20 საშტატო ერთეულზე, ხოლო ყოველ დანარჩენ 50 საშტატო ერთეულზე დამატებით 1 ცალი ავტომობილი. აღნიშნული წესი არ ვრცელდება საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ მისიებზე, პროტოკოლის ავტომობილებზე, თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბზე, ოპერატიულ დანაყოფებსა და განსაკუთრებული სპეციფიკის მქონე სხვა უწყებებზე. ჩამოთვლილი კატეგორიის სამსახურებს ავტოპარკის სტანდარტიზაციისთვის, სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით, ინდივიდუალური პროექტების შემუშავება დაევალათ. გარდა ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა, უზრუნველყოს ავტომობილების მინების დამუქებისა და სპეციალური ციმციმა და ხმოვანი სიგნალების მონტაჟის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების განახლებული რეგულაციების შემუშავება არაუგვიანეს, 2014 წლის 28 თებერვლისა, რომელიც გაამკაცრებს აღნიშნული საშუალებების გამოყენებას. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება რამდენიმე ევროპული ქვეყნის გამოცდილებასა და მოდელზეა დაფუძნებული. ამასთან, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობის სხდომაზე ახალი ინიციატივით გამოვიდა: 1. მიმდინარე წელს მთავრობამ გამოაცხადოს მორატორიუმი და უარი თქვას ახალი ე.წ. I კატეგორიის მანქანების შესყიდვაზე. 2. სამინისტროებმა მოახდინონ არსებული ავტოპარკის მონიტორინგი და მოახდინონ იმ მაღალი კლასის მანქანების რეალიზაცია, რომლებიც არ წარმოადგენენ განსაკუთრებულ საჭიროებას და მათი შენახვა სახელმწიფოს ძვირი უჯდება. მიღებული სახსრები უნდა მოხმარდეს ისევ იმ სტრუქტურის განვითარებას — კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. 3. დადგენილებაში მითითებულია მინების დამუქების წესის გადასინჯვა — აქაც პრემიერ-მინისტრი გამოდის ინიციატივით, მაქსიმალურად შეიზღუდოს მინების დამუქების გამოყენების პრაქტიკა.

„პირველი“

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

TBILISI Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE

ოპერის თეატრი „ბედის ძალის“ პრემიერას წარმოადგენს

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი გიწვევთ პრემიერა ზე — 31 იანვარს და 2 თებერვალს 19 საათ ზე კონსერვატორიის დიდ დარბაზში საკონცერტო ვერსიით შესრულდება ჯუზეპე ვერდის ოპერა „ბედის ძალა“. ეს პრემიერა „ბედის ძალის“ სრული ვერსიის, პრაქტიკულად, პირველი საჯარო შესრულებაა საქართველოში.

ოპერის თეატრის გუნდსა და სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორებს თეატრის მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო. მთავარ პარტიებს იმღერებენ თეატრის სოლისტები: ტარიელ ჭიჭინაძე (მარკიზი კალატრავა), ირინე რატიანი, მაყვალა ასპანიძე (ლეონორა), ნიკოლოზ ლაგვილავა (დონ კარლო დი ვარგასი), არმაზ დარაშვილი, ოთარ ჯორჯიკია (ალვარო), იამზე გურჩიანი (კურა), თეა დემურიშვილი (პრეციოზილა), ვახტანგ ჯაშიაშვილი (ალკადე, ექიმი), ირაკლი მურჯიკნელი (ტრაბუკო), გოჩა დათუსანი-ჯიღაური (პადრე გუარდიანო), ზაალ ხელაია, ვანო გალუაშვილი (ფრა მელიტონე).

ოპერა „ბედის ძალის“ ლიბრეტო ეკუთვნის ფრანჩესკო მარია პიავეს, ლიბრეტოს საფუძვლად დაედო ესპანელი მწერლის — დონ ანჯელო დე საავედრას რომანტიკული დრამა „დონ ალვარო ანუ ბედის ძალა“, აგრეთვე, ადაპტირებული სცენა იოჰან ფრიდრიხ ფონ შილერის დრამიდან „ვალენშტაინის ბანაკი“.

„ბედის ძალა“ ვერდის შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდს განეკუთვნება, როდესაც მას უკვე ჰქონდა შექმნილი შედევრები: „რიგოლეტო“, „ტრუბადური“ და „ტრავიატა“.

ოპერა „ბედის ძალა“ შეიქმნა სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის დაკვეთით. მსოფლიო პრემიერა კი, ლეონორას როლის შემსრულებლის, სოპრანო ემმა ლაგრუას ავადმყოფობის გამო, ერთი სეზონის დაგვიანებით შედგა — 1862 წელს.

მუსიკალური კრიტიკოსებისგან განსხვავებით, რუსულმა აუდიტორიამ ოპერა დადებითად შეაფასა. კრიტიკოსებმა პრეტენზიები, ძირითადად, ლიბრეტოს მიმართ გამოთქვეს, რომელიც, მათი აზრით, ფრაგმენტულობის გამო, უარყოფითად მოქმედებდა მუსიკის ხარისხზე. ცხადია, გამოითქვა დადებითი შეფასებებიც; ასე მაგალითად, Journal de St.-Peterbourg წერდა: **„კომპოზიტორს სურდა, ოპერაში ყველგან იგრძნობოდეს ბედისწერის ძალუმი სუნთქვა... მთავარი მელოდია მოკლე და პირქუშია; იგი ისე ვითარდება, ღელვისგან შეკრთები, თითქოს უსასრულობის გზაზე მოლოდინში მყოფი სიკვდილის ანგელოზის ფრთების ჩრდილი ჩამოწვა თქვენს თვალწინ“**.

ვერდიმ რამდენჯერმე მოახდინა ოპერის რედაქტირება, რის შემდეგაც, ოპერა 1863 წელს შესრულდა რომსა (როგორც „დონ ალვარო“) და მადრიდში (სადაც ესწრებოდა პიესის ავტორი). ამის შემდეგ ოპერა დაიდგა ნიუ იორკსა და ვენაში (1865 წ.), ბუენოს-აირესსა (1866 წ.) და ლონდონში (1867 წ.).

1869 წლის 27 თებერვალს „ბედის ძალა“, განახლებული რედაქციით, მილანშიც დაიდგა. პიავეს მძიმე ავადმყოფობის გამო, ოპერის მეორე რედაქციის ლიბრეტოს ავტორობა ითავა ანტონიო გისლანცონიმ (შემდგომში „აიდას“ ლიბრეტოს ავტორი). ახალ ვერსიაში კომპოზიტორმა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები შეიტანა; განახლებული ვარიანტისთვის კომპოზიტორმა დაწერა უვერტიურა, რომელმაც მოკლე პრელუდია შეცვალა; ეს უვერტიურა, შესაძლოა, საუკეთესოა ვერდის უვერტიურებს შორის. მასში გამოყენებულია ოპერის რამდენიმე არიის ფრაგმენტი, მასში ჟღერს მოკლე მრისხანე მელოდიაც, რომელსაც „ბედისწერის“ მოტივს უწოდებენ. „ბედის ძალის“ უვერტიურა დამოუკიდებლადაც სრულდება და სიმფონიურ რეპერტუარში საპატიო ადგილი უკავია.

მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო ოპერის ფინალს: პეტერბურგში ოპერა სრულდებოდა ალვაროს თვითმკვლელობით, ახალ ვარიანტში კი, ალვარო ცოცხალი რჩება, გუარდიანოს მოწოდებით, ნებდება თავის ბედისწერის ძალას. ოპერის ბოლო რედაქციაში კომპოზიტორმა რიგი სხვა ცვლილებებიც შეიტანა. მილანის დადგმამ აუდიტორიას კიდევ ერთხელ დაანახა არა მხოლოდ ვერდის მუსიკალური გენია, არამედ კომპოზიტორის, როგორც დიდი საოპერო დრამატურგის ელვარე ნიჭიც.

მოისმინეთ „ბედის ძალა“ და ისიამოვნეთ.

ღვინის კიდევ ერთი სასარგებლო თვისება აღმოაჩინეს

სწავლულებმა გაარკვიეს, რომ წითელი ღვინო შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც ორგანიზმს ეხმარება, დაძლიოს არასაკმარისი ფიზიკური აქტივობისგან გამოწვეული პრობლემები. ცხოვრების პასიური წესი მხოლოდ კუნთებზე კი არ მოქმედებს უარყოფითად, არამედ შინაგან ორგანოებსა და სისტემაზე — ძვალ-სახსარზე, მეტაბოლიზმზე, სასუნთქ სისტემაზე, სისხლის მიმოქცევასა და ნერვულ სისტემაზე. ღვინო, რასაკვირველია, ვერ შეცვლის მოძრაობასა და ფიზიკურ ვარჯიშს, მაგრამ მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეს სასმელი აფერხებს იმ დამანგრეველ პროცესს, რასაც ჰიპოდინამია, მჯდომარე სამუშაო იწვევს. მღრღნელებზე ჩატარებული ცდებისას, ცხოველებს საკვებში რესვერატროლს უმატებდნენ, რომელსაც წითელი ღვინო შეიცავს. აღმოჩნდა, რომ ეს ანტიოქსიდანტი, უმოძრაობის პირობებში, იცავს ორგანიზმს. მათ, ვინც დღის განმავლობაში ნაკლებად მოძრაობს, სწავლულები ურჩევენ, რესვერატროლით მდიდარი პროდუქტი მიირთვან.

ხვრინვას სიმღერა შველის

ქრონიკული ხვრინვისგან თავის დასაღწევად აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი იმღეროთ, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი ოტოლარინგოლოგები. დღემდე არ არსებობს წამალი, რომელიც ეფექტურად შეებრძოლებოდა ამ უსიამოვნო მოვლენას, მით უმეტეს, რომ ხვრინვა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, სიმღერა კი, შესაძლოა, ერთგვარი წამალი იყოს — საქმე ისაა, რომ ხვრინვის ძირითადი მიზეზი ხახის რბილი კუნთების დასუსტებაა და როცა ჰერი სასუნთქ გზებს გაივლის, ხდება ხმაურიანი ვიბრაცია, სიმღერის დროს კი დატვირთვა სწორედ ამ კუნთებზე მოდის და ისინი არ დუნდება. ამ თეორიის დასამტკიცებლად სწავლულებმა გამოკვლევა ჩაატარეს 127 მოხალისეზე. შედეგმა აჩვენა, რომ ადამიანები, ვინც დღეში 20 წუთს, რეგულარულად მღეროდა, ნაკლებად ხვრინავდნენ.

იაპონელების ახალი „თერაპიული ჰობი“

ადამიანების უმრავლესობა საზოგადოებრივ ტუალეტებს ზიზღით უყურებს, იაპონური სოციალური კლუბის Benjyo Soujer წევრები კი იქ დასუფთავებისთვის დადიან და ამაში კაპიკსაც არ იღებენ — ეს მათთვის ერთგვარი თერაპიული ჰობია. კვირაობით, დილით, 35-წევრიანი ჯგუფი, რომელშიც უფროსებიც არიან და ბავშვებიც, ტოკიოს საზოგადოებრივი ტუალეტების დასასუფთავებლად მიემართება. ეს გაერთიანება Facebook-ის მეშვეობით არსებობს და ისინი საკუთარ სოციალურ მისიას სწორედ საპირფარეშოს დალაგებაში ხედავენ. ათასგვარი საშუალებით აღჭურვილები, კაბინებისკენ მიემართებიან და იქიდან მხოლოდ მაშინ გამოდიან, როცა ყველაფერი სისუფთავით ბრწყინავს. ამ კლუბის ყველა წევრი უსასყიდლოდ იღვწის, რადგან მათთვის ტუალეტის წმენდა ერთგვარი „გამწმენდი“ რიტუალია, ბუდისტების რიტუალის მსგავსად. ზოგიერთები ამით მორჩილებას სწავლობენ, ზოგისთვის კი ეს საქმიანობა „ორთქლის გამოშვებაა“ მომავალი სამუშაო კვირის წინ.

რომის პაპი მოტოციკლს ყიდის

რომის პაპი ფრანცისკი ნაჩუქარ მოტოციკლს ყიდის, რათა აღებული ფულით უმწეოებს დაეხმაროს. ცნობილი ამერიკული კომპანიის — Harley Davidson წარმომადგენლებმა Dyna Super Glide-ის მოდელის ორი მოტოციკლი პონტიფიკოსს 2013 წელს, ბრენდის 110 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად უსახსოვრეს და მასთან ერთად ბაიკერის ქურთუკიც გადასცეს. საჩუქრები პარიზის აუქციონზე გაიყიდება, ერთი მოტოციკლის ღირებულება 12-დან 15 ათას ევრომდე მერყეობს, შემოსული თანხა კი ქველმოქმედებას მოხმარდება — ამ ფულით თავშესაფრის აშენებასა და რომში ერთ-ერთი სამზარეულოს აღდგენას შეძლებენ, სადაც უფასო საკვებს 1000-ზე მეტი გაჭირვებული მიიღებს.

საჩუქარი საქველმოქმედო მიზნებს რომ მოხმარდებოდა, წინასწარვე იყო ცნობილი, საერთოდ, პონტიფიკოსი გადასაადგილებლად ტრანსპორტის მოკრძალებულ საშუალებებს ირჩევს — პაპმა უარი განაცხადა ვატიკანის ავტოპარკის ძვირადღირებულ მანქანებზე და უბრალო Ford Focus-ით გადაადგილდება.

ჰოროსკოპი
29 იანვარი

ვერძი — მაქსიმალურად აარიდეთ თავი კონფლიქტს გარშემომყოფებთან და ნუ აუვებით პროგოკაციებს. სადამო შესანიშნავი იქნება რომანტიკული ურთიერთობისთვის თქვენთვის ძვირფას ადამიანთან.

კურო — უნდა იზრუნოთ, რომ გვერდით მცოდნე ადამიანი გყავდეთ, რომელიც მზად იქნება, ნებისმიერ დროს, რთულ პერიოდში გვერდში დაგიდგეთ, რადგან დაბნეული ხართ და პრობლემების დამოუკიდებლად მოგვარება თქვენს ძალებს აღემატება.

ტყუპები — უამრავი სიურპრიზი გელით, მთავარია, სწორი გადაწყვეტილება მიიღოთ — ის, რაც ადრე წარმოუდგენლად გეჩვენებოდათ, შესაძლოა, რეალობად იქცეს, ასე რომ, რისკი გამართლებული აღმოჩნდება.

კირჩხიბი — სჯობს, ახლობლებს მეტი დრო დაუთმოთ და მხოლოდ საოჯახო საქმეებით დაკავდეთ — ასე მოსალოდნელ უსიამოვნებასაც აიცილებთ თავიდან და სამომავლო გეგმებზე დაფიქრების საშუალებაც მოგეცემათ.

ლომი — იმედგაცრუება, რომელიც გარშემომყოფთა ქცევის შედეგად დაგეუფლებათ, თქვენს შრომისუნარიანობას დააქვეითებს. ეცადეთ, ნაკლებად მოექცეთ უარყოფითი ემოციების გავლენის ქვეშ და პრაგმატულად იაზროვნოთ.

ქალწული — საქმიანი შეხვედრები და დისკუსიები გელით. გარშემომყოფებისთვის სამაგალითო ხართ და ეცადეთ, იმპულსური ქმედებებით იმედი არ გაუცრუოთ.

სასწორი — მოსაწყენი პერიოდია, ახალი და მნიშვნელოვანი არაფერი ხდება, თუმცა ამის გამო დეპრესიაში ნუ ჩავარდებით და მიჰყევით ცხოვრების დინებას.

ღრიანცალი — მართალია, თქვენგან რადიკალური ნაბიჯების გადადგმას ელიან, მაგრამ სანამ რამეს მოიმოქმედებთ, ჯერ კარგად დაფიქრდით — რამდენად ხართ მზად ცვლილებებისთვის. კომპეტენტური ადამიანის რჩევები სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ.

მშვილდოსანი — შეგიძლიათ, დიდ წარმატებას მიაღწიოთ ნებისმიერ სფეროში, მაგრამ ამისთვის ეურადღებით უნდა მოეკიდოთ ყოველ წვრილმანს და ეცადოთ, მოიპოვოთ კოლეგების კეთილგანწყობა.

თხის რქა — ძალების მოზღვავებას იგრძნობთ და საქმიანი მოლაპარაკებაც თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება, თუმცა ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული და გაითვალისწინეთ, რომ უშეცდომო არავინაა, მათ შორის, არც თქვენ.

მერწყული — პირად ცხოვრებაში არსებული პრობლემების მოგვარება იოლი არ იქნება თუ კომპრომისზე წასვლას არ ისწავლით — ეცადეთ, მეტად დამთმობი იყოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მარტო დარჩებით.

თევზები — მოგწონთ თუ არა, დღეს საზოგადოების ეურადღების ცენტრში აღმოჩნდებით, ამიტომ ეცადეთ, ნაკლებად გამაღიზიანებელი იყოთ.

კომაში ჩავარდა ქალი

იტალიელმა ექიმებმა სამედიცინო სასწაული მოახდინეს — კომაში მყოფი ქალი ამშობიარეს. 25 წლის კაროლინა სეპე 10 კვირის ორსული იყო, როდესაც თავის ტრავმის შედეგად კომაში ჩავარდა და ნეაპოლის ერთ-ერთ საავადმყოფოში 2013 წლის აგვისტოში მოათავსეს. მას შემდეგ იგი გონზე არ მოსულა, თუმცა, ექიმები ამ დროის განმავლობაში ცდილობდნენ, ორსული ქალის ნაყოფის გადარჩენას. როდესაც კომაში მყოფი დედის ჯანმრთელობა გაუარესდა, მედიკოსებმა ჩვილი საკეისრო კვეთის შედეგად მოავლინეს ქვეყანას. ახალშობილი 1,1 კილოგრამს იწონიდა და მაშინვე ინკუბატორში მოათავსეს. რაც შეეხება კაროლინას, იგი მშობიარობიდან 6 დღეში გარდაიცვალა.

დამთქნარებამ ფილტვი გაუხეთქა

ჩინელმა მამაკაცმა, სახელად ოუმ ფილტვი იმ მომენტში გაიხეთქა, როცა დილით, სამსახურში წასვლამდე, დაამთქნარა და გაიზმორა. მედიკოსები ამბობენ, რომ ახალგაზრდის ამ უჩვეულო ტრავმაში „დამნაშავე“ აღნაგობაა — იგი საკმაოდ მაღალი და გამხდარია. მთქნარებისას ოუმ მოულოდნელად მკერდის არეში ტკივილი იგრძნო, მაგრამ სამედიცინო დახმარებისთვის მაშინვე არ მიუმართავს, თუმცა ძლიერმა ტკივილმა ამის გაკეთება მაინც აიძულა, გამოკვლევის შედეგად კი გაირკვა, რომ სპონტანური პნევმოტორაქსი გადაიტანა.

სარეცხ მანქანას წყალი არ სჭირდება

ორმა არგენტინელმა ახალგაზრდამ სარეცხი მანქანა შექმნა, რომლის მუშაობისთვისაც წყალი საჭირო არ არის — მათ ქსოვილის გასასუფთავებლად ნახშირბადის დიოქსიდი ან ნახშირმჟავა გაზის გამოყენება შემოგვთავაზეს. სტუდენტებმა თანამედროვე მსოფლიოს ეკოლოგიური პრობლემის, მათ შორის სასმელი წყლის ნაკლებობის მოგვარებაში საკუთარი წვლილის შეტანა გადაწყვიტეს და ამ მიზნით დაიწყეს ახალ სარეცხ მანქანაზე მუშაობა. „მშრალად“ მომუშავე მანქანებისგან განსხვავებით, რომლებიც ცოტა წყალს მაინც საჭიროებენ, მათი აპარატი აბსოლუტურად არ იყენებს მას, გასარეცხად საჭიროა მხოლოდ ბუნებრივი ნახშირმჟავა აირი და დაპატენტებული, ეკოლოგიურად სუფთა სარეცხი საშუალება. გარდა ამისა, მანქანა გაცილებით ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარს და ასეთი რეცხვის შემდეგ სამოსი არც გაშრობა-გაუთოებას საჭიროებს.

ოზამდი ბიჭის ეამო ეამდაიცვალა

აშშ-ში 17 წლის ახალგაზრდა, სემ ბერნსი გარდაიცვალა. მისი სიკვდილის მიზეზი სიბერე იყო. საქმე ის არის, რომ სემს იშვიათი დაავადება — პროგერია სჭირდა, რის გამოც ადამიანი ძალიან მალე ბერდება — ეს უკურნებელი სენი, მილიონიდან ერთს ემართება და დაავადებული ადამიანი ჩვეულებრივზე ათჯერ სწრაფად ბერდება. სემ ბერნსს ამ სენის დიაგნოზი წლისა და ათი თვისას დაუდგინდა, ასეთი ბავშვები იშვიათად აღწევენ 13 წლამდე. მიუხედავად ავადმყოფობისა, სემი არასოდეს წუწუნებდა თავის მდგომარეობაზე და გარშემომყოფებთან ყოველთვის ოპტიმიზმს ასხივებდა. რამდენიმე წლის წინ მოზარდი დოკუმენტური ფილმის გმირიც გახდა, რომელიც „ოსკარის“ პრეტენდენტთა სიაშიც მოხვდა. ამის წყალობით, ამერიკაში 15 მილიონი დოლარის შეგროვებაც მოხერხდა, რომელიც დაავადების შემდგომ შესწავლას მოხმარდება.

ჰოროსკოპი
30 იანვარი

ვერძი — ეცადეთ, დრო ოჯახის წევრებისთვის გამონახოთ — მხოლოდ ასე განიტვირთებით და სასიცოცხლო პოტენციალიც მოიმატებს. დროა, სამომავლო გეგმებზე დაფიქრდეთ და ყოველი ნაბიჯი კარგად აწონ–დაწონოთ.

კურო — შესაძლოა, მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღოთ, რომელიც ცხოვრების ახალ ეტაპზე გადაგიყვანთ. მაგრამ ფრთხილად იყავით, თქვენგან დამოუკიდებელმა გარემოებამ ხელი არ შეგიშალოთ.

ტყუპები — თქვენი ინტერესი მიმართული იქნება ფინანსური პრობლემების მოგვარებისკენ, მოსალოდნელია გაუგებრობა გარშემომყოფებთან, თუმცა ჩვეული დიპლომატიის წყალობით, მორიგ უსიამოვნებას ადვილად აიცილებთ თავიდან.

კირჩხიბი — მნიშვნელოვანი ფინანსური ხარჯი გელით, შესაძლოა, წინდაუხედავმა საქციელმა პრობლემები შეგიქმნათ უფროსობასთან, მაგრამ თუ ნაკლებად კრიტიკული იქნებით და კომპეტენტური ადამიანის რჩევებსაც გაითვალისწინებთ, ყველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება.

ლომი — ურიგო არ იქნება, თუ მეგობრებს შეხვდებით — წარსულის გახსენება განწყობას გაგიუმჯობესებთ და გარშემომყოფებისადმი უფრო ლოიალური გახდებით.

ქალწული — არ არის გამორიცხული, კონფლიქტურ ვითარებაში აღმოჩნდეთ, მაგრამ ეცადეთ, ემოციები მოთოკოთ და პროვოკაციას არ აყვეთ — ეს მხოლოდ თქვენთვის იქნება უკეთესი.

სასწორი — სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია და კარგ განწყობას ვერაფერი გაგიფუჭებთ, მთავარია, არ მოექცეთ სხვისი გავლენის ქვეშ და მიღებული ინფორმაცია აუცილებლად გადაამოწმოთ, რათა გაუგებრობა აიცილოთ თავიდან.

ღრიანცალი — სასიხარულო ამბავს შეიტყობთ, რაზეც თქვენი კარიერული წინსვლა იქნება დამოკიდებული — ასეთ შემთხვევაში, რისკიც გამართლებული იქნება და ნურც მოსალოდნელი ცვლილებების წინაშე დაიხევთ უკან.

მშვილდოსანი — დროა, სამსახურეობრივი რუტინისგან განიტვირთოთ და თავს მეტი დრო დაუთმოთ. ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და ეცადეთ, არ იფიქროთ არსებულ პრობლემებზე.

თხის რქა — ვარსკვლავები გირჩევენ, გაერიდოთ მოვლენების ეპიცენტრს და თავი აარიდოთ ხალხმრავალ კამპანიას, რადგან თქვენი აქტიურობა, შესაძლოა, გარშემომყოფებისთვის მიუღებელი აღმოჩნდეს.

მერწყული — შესაძლოა, უსიამოვნებაში გაეხვიოთ. იყავით დაკვირვებული და ეურადღებიანი, რადგან არაკეთილმოსურნეებს თქვენი მოტყუება სურთ, ყველას ნუ ენდობით და მხოლოდ საგუთარ ინტუიციას ენდეთ.

თევზები — შექმნილი ვითარება სწრაფ რეაგირებასა და არაორდინარული გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს — ერთ წამს შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდით, მაგრამ თუ ბედს არ შეეგუებით და ბოლომდე იბრძოლებთ, წინააღმდეგობას ადვილად გადალახავთ.

სუდოკუ

ადვილი

9			2				3	
						2	6	
	1			6	3	5		
4			1					9
	6			8			1	
1					5			3
		4	3	5			2	
	7	2						
	3				6			8

სტანდარტი

	5	3						
8	2				6	1		
		9			4		3	
7		6			9			
	4			8			2	
			1			6		3
	1		4			2		
		5	3				6	7
						3	8	

რთული

			8	7				
	7	2			9	8		4
		1						3
5		8					6	
		7				4		
	3					2		5
4						3		
8		3	1			7	9	
				8	2			

ექსპერტი

2		4						
				5	4			8
9		8	7			4		3
	9					8		
4			9		7			6
		2					1	
5		7			2	6		1
3			5	7				
						5		4

მითხარი, როგორ ყავას სვამ და...

ბრიტანელმა სწავლულებმა კიდევ ერთი კვლევა ჩაატარეს იმის გასარკვევად, არის თუ არა კავშირი ადამიანის ხასიათსა და მის მიერ მომზადებულ ყავას შორის. ნისლიან ალბიონზე ყოველ დილით, ამ არომატული სასმელის მოყვარულები უზომოდ დიდი რაოდენობით — 70 მილიონ ფინჯან ყავას მიირთმევენ და როგორც აღმოჩნდა, სასმელი ადამიანს არა მხოლოდ მხნეობას მატებს, არამედ მის ხასიათსაც ავლენს. საუბარია იმაზე, თუ როგორ

ყავას ანიჭებთ უპირატესობას. ამ გემრიელი სასმელის 1000-ზე მეტი მოყვარულის გამოკვლევისას, ფსიქოლოგებმა ძირითადი ყურადღება გაამახვილეს ისეთ თვისებებზე, როგორიცაა ინტრავერსია და ექსტრავერსია, მოთმენის უნარი, სულიერება, ყურადღება, სოციალური გამბედაობა და სხვ. მიღებული შედეგებით კი სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შავი ყავის (თურქულის) მოყვარულები, ძირითადად, ტრადიციების მიმდევრები, სერიოზული, მკაცრი ადამიანები არიან. მათ შორის შეიძლება უხეში და მოუთმენელი პიროვნებებიც აღმოჩნდნენ, ვინც ცვლილებებს ვერ იტანს. რაც შეეხება ყავა-ლატეს (რძიანი) მოყვარულებს, როგორც წესი, მათ სხვებისთვის სიამოვნების მინიჭება უყვართ, თუმცა, შესაძლოა, ზოგჯერ იმპულსურობა გამოავლინონ. ვისაც კაპუჩინო უყვარს, პერფექციონისტია და გარშემომყოფების მიმართ მეტად მომთხოვნია, ყველაფრის გაკონტროლებას ცდილობს, ზედმეტად მგრძნობიარეა და ჯანმრთელობას უფრთხილდება. ხსნადი ყავის მოყვარულები მშვიდები აღმოჩნდნენ — გამოირჩევიან ნელი ტემპით, ურჩევნიათ, საქმე ბოლო წუთისთვის გადადონ.

ცივი და ტკბილი ყავა-გლიასეს დამფასებლები კი გამბედაობით გამოირჩევიან, ზოგიერთ შემთხვევაში, შეუძლიათ, იყვნენ დაუდევრები და ავანტიურისტებიც კი.



საშველ აპარატი ჭეიჩეგთ

იაპონელმა გამომგონებლებმა კომპანიიდან JR East Water Business Company სასმელის გასაყიდი აპარატი შექმნეს, რომელიც კლიენტს თავად შეურჩევს შესაფერის სასმელს. აპარატი ადამიანის სახეს აკვირდება და ამ ინფორმაციის საფუძველზე, სთავაზობს მას ამა თუ იმ დასალევს. „ჭკვიანი“ მანქანა კლიენტის ასაკსა და სქესს ადგენს. 40 წელს გადაცილებულ მანდილოსანს სასარგებლო, ანტიოქსიდანტებით სავსე მწვანე ჩაის სთავაზობს, ამავე ასაკის მამაკაცებს კი — ყავას. ერთი ასეთი ავტომატი უკვე დადგეს ტოკიოს რკინიგზის სადგურზე და კომპანიის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ დედაქალაქში კიდევ რამდენიმე აპარატს დაამონტაჟებენ. კომპანიის სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ამგვარი მოწყობილობა მომხმარებელს გაართობს, ხოლო მიწოდებულ პროდუქციას პოპულარულსა და მოთხოვნადს გახდის.

ლამაზი ქალების ქვეყანა

მამაკაცებისთვის განკუთვნილმა პოპულარულმა ინტერნეტპორტალმა AskMan მკითხველს იმ ქვეყნების სია წარუდგინა სადაც მასობრივად ლამაზი ქალები ცხოვრობენ. ძლიერმა სქესმა მათ შორის არჩევანი გააკეთა და შესაბამისად, ადგილებიც ასე გადანაწილდა:

ლიდერის პოზიციაზე ბრაზილია და მისი უდიდესი მეგაპოლისი რიო-დე-ჟანეირო გავიდა. როგორც გამოცემა წერს, რიო ცნობილია თვალწარმტაცი სანაპიროთი და ცეცხლოვანი ქალებით;

მეორე ადგილი შავგვრემანმა და ტემპერამენტიანმა იტალიელებმა დაიკავეს — ინტერნეტგვერდის რჩევით, მამაკაცი ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა ესტუმროს მილანს, ის ხომ მოდის ცენტრია და რა გასაკვირია, რომ გრძელფეხება მოდელებს აქ ხშირად შეხვდებით. იტალიელი ქალები სილამაზით ყოველთვის გამოირჩეოდნენ და მაგალითისთვის მონიკა ბელუჩიც კმარა.

საპატიო, მესამე ადგილი ვენესუელას ერგო — აქაური ლამაზმანები სილამაზის ყოველ კონკურსში მონაწილეობენ და გამარჯვებულები თუ არა, ფინალისტები არიან. ლამაზი ქალებით გამორჩეული ქვეყნების ტოპ-ათეულში შევიდნენ ასევე, დანია, ჩეხეთი, აშშ, შვედეთი, კანადა, ისრაელი და ჰონგკონგი (ჩინეთი).

კარტოფილი _ ვიტამინების „საწყობი“

ახალი გამოკვლევის შედეგად ბრიტანელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ კარტოფილი დიდი რაოდენობით საკვებ ნივთიერებებს, ვიტამინებსა და მინერალებს შეიცავს და ორგანიზმისთვის უფრო მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე დიეტოლოგების მიერ რეკომენდებულ ჭარხალს, ბროკოლს, ბანანს, ნიგოზსა და ავოკადოს.

სპეციალისტებმა კარტოფილს ყველაზე იაფი და სასარგებლო დიეტური პროდუქტი უწოდეს და ამ ბოსტნეულის მოხმარებას დღეში ორჯერ გვირჩევენ, რაც ხელს უწყობს სისხლის წნევის დარეგულირებასა და წონის კონტროლს. კანიანად მოხარშული კარტოფილი ხუთჯერ მეტ უჯრედისს შეიცავს, ვიდრე საშუალო ბანანი და სამჯერ მეტ „ცე“-ვიტამინს, ვიდრე ავოკადო. მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ მასში უფრო მეტი სელენია, ვიდრე ნიგოზსა და მზესუმზირაში. ამ ბოსტნეულის რეგულარული მოხმარება ონკოლოგიური დაავადებების წინააღმდეგ პროფილაქტიკური საშუალებაა. გარდა ამისა, ადამიანმა შეიძლება უარი თქვას სხვადასხვა ვიტამინების კომპლექსზე, თუკი კარტოფილი მის ყოველდღიურ რაციონში შედის — ის უზრუნველყოფს ორგანიზმს მიკროელემენტების საკმარისი რაოდენობით.

1.ჯალათის სახელწოდება ძველ ქართულში
2. იგივეა, რაც სარკმელი
3.მატყუარა, ცბიერი კაცი ქართ. ზღაპრებში
4. ქაღალდის ფულზე აღნიშნული ღირებულება
5. დაუმუშავებელი ბრილიანტი
6. ფრანგული არაყი
7.ქართველი მსახიობი, რეჟისორი, პარლამენტარი
8.ქვანახშირით მდიდარი რეგიონი გერმანიაში
9. ორგანიზმის კუნთების მოდუნება
10.ზევითკენ თანდათანობით გაწვრილებული ქვის სვეტი
11.ჯოყოლას ცოლი „სტუმარ-მასპინძელში“
12. ახლად დაყენებული ღვინო
13.ტროას მეორე სახელი
14. დიდი ფრიალო კლდე
15.სიგრძის საზომი ერთეული ძველ საქართველოში
16. პირისახის ძვალი
17.თვალის ფერადი გარსი
18. მზის შუქი, რაიმეზე დამდგარი
19. ცხენის ფეხზე დასაკრავი რკინა
20. ინდონეზიის კუნძული
21. ორთაბრძოლა სეკუნდანტების თანხლებით
22. ცხრა საფეხურიანი მუსიკალური ინტერვალი
23. პირის ღრუს ზედა ნაწილი
24.საეკლესიო ჭურჭელი ბავშვის მოსანათლად
25. კოლუმბის ერთ-ერთი კარაველა
26.ინგლის. ტრადიციული სქელი ლუდი
27. უგონო მდგომარეობა
28. ვან გოგის ცნობილი ნახატი
29.ფრანგი ფიზიკოსი ... პასკალი
30. საქართველოს ექსპრემიერი
31. ბირმის უდიდესი მდინარე
32. (ძვ.) ღამის დარაჯი, გუშაგი
33. ტბა აფხაზეთში
34.ფულის გამოძალვა მუქარით
35. იმპერატორ ნაპოლეონ III-ის სახელი
36. სანელებელი მცენარე
37. წყალქვეშა კლდე
38. პარკოსანი მცენარე
39.ქიმიური ელემენტი, იშვიათი მეტალი
40.საბჭოთა მულტსერიალი „... დამაცადე!“
41.ოკეანის ნაწილი, მლაშე წყლის დიდი მასა
42. ხელოვნური საერთაშორისო ენა, შექმნილი ესპერანტოს საფუძველზე
43. იგივეა, რაც კლიენტი
44.ჰოლანდიური ლუდი
45. ჯაყოს ეროვნება
46. ქუთაისის მორაგბეთა გუნდი
47. მდინარე გერმანიის დედაქალაქში
48. ქალაქი პაკისტანში
49. Na_2CO_3
50. დაბალი ბუსუსები ქსოვილზე
51. სოფელი გორის რაიონში
52. ინგლისელი მუსიკოსი დევიდ ...
53.სწორად წერის წესები, ორთოგრაფია
54. ოჯახის მფარველი ქალღმ. რომაულ მითოლოგ
55. ბავშვის შესაშინებელი საფრთხობელა
56.ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია (შემოკლ.)
57.„მანჩესტერ იუნაიტედის“ სტადიონი „... ტრაფორდი“
58.მდინარე თათრეთში, კამის შენაკადი
59. აზერბაიჯანის პრეზიდენტი
60. წამლის ბურთულა
61. საკონდიტრო ნაწარმი
62. მსახიობი ... ტაილერი
63. „ყვითელი მდინარე“ ჩინეთში
64. გესტაპოს „შეფი“
65.იგივეა, რაც სასულე
66.თურქული ტელესერიალი „ქალბატონი ...“
67. მინერალური საღებავი, ჟანგმიწა
68. პოლიციელის მეტსახელი ინგლისში
69.იაპონელი მწერალი ... კობო
70. სინათლე ბავშვის ენაზე
71.იტალიელი მოკრივე, ოლიმპიური ჩემპიონი
72.ძალიან ბრაზიანი, აწრხლი
73. ხრიკი, ფანდი
74. ფრანგული ავტომარკა
75.ქალაქი ესპანეთში
76.კურორტი საფრანგეთში
77.სუსტი ქარი, ნიავი
78. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
79.პოეტი ... ნადირაძე
80. თავდავიწყების მდინარე ბერძნულ მითოლოგიაში
81. ძველბერძენთა სიმებიანი საკრავი
82. „ტროპიკული ვაშლი“
83. შტირლიცის სახელი
84. ჯუზეპე ვერდის ოპერა
85. ილიას ლექსი „... ერი“
86. ქართული დასახლება ბამ-ზე
87. მთის თუთიყუში

წინა ნომერში გასული სკანვორდის პასუხები

მე-13 გვერდი: 1. სარდალი; 2. ატმოსფერო; 3. ტერფსიქორა; 4. ორესტე; 5. რეციპიენტი; 6. აქციონერი; 7. ფსიტი; 8. იკოსაედრი; 9. მეგრე; 10. ციცქა; 11. ალამი; 12. ექო; 13. ეკი; 14. პროზა; 15. ლირიკა; 16. ელენე; 17. პფაიფერი; 18. ბრა; 19. ირენ; 20. ფასო; 21. მედიანა; 22. „აპასიონატა“; 23. იდეა; 24. დელტაპლანი; 25. მიოზიტი; 26. რინგი; 27. „კრისტი“; 28. პარკეტი; 29. „ფიდელიო“; 30. „კუკარაჩა“; 31. ბონი; 32. არსენ; 33. დიამანტი; 34. ზებუ; 35. დიანა; 36. „აეკი“; 37. აია; 38. იურმალა; 39. პეტროსიანი; 40. მიდი; 41. ნოე; 42. ირმა; 43. მაღარიჩი; 44. მაიკ; 45. მირიანი; 46. ამტი; 47. ლუი; 48. ოაზისი; 49. სიუ; 50. ანოა; 51. „არმინია“; 52. იმპალა; 53. ნაი; 54. ბანზაი; 55. ტანძია; 56. ტრომბონი; 57. აორტა; 58. ნატო; 59. ნოღაი; 60. „აჩრდილი“; 61. მზია; 62. მოა; 63. რაია; 64. დონ; 65. დაკია; 66. სპინოზა; 67. მაგია; 68. იდა; 69. ტანკა; 70. რასა; 71. ოჩანი; 72. ჩაი; 73. ელი; 74. ანი; 75. „პასატი“; 76. ზეგ; 77. ინა; 78. „ლაილაი“; 79. ავე;

მე-16 გვერდი: 1. ეკვატორი; 2. კონკლავი; 3. აგუტი; 4. ორცხობილა; 5. კაბოშონი; 6. ამპლიტუდა; 7. ორლი; 8. ოინი; 9. ინტუიცია; 10. ენა; 11. კაპულეტი; 12. „ზარა“; 13. სპილენძი; 14. თეძამი; 15. სპიდომეტრი; 16. პრერია; 17. ლეიკოზი; 18. თია; 19. ემუ; 20. ჩიხი; 21. აბა; 22. იგავი; 23. ტემპერა; 24. პან; 25. აზია; 26. ფიდე; 27. ძუა; 28. ემი; 29. ვამპირი; 30. კირილე; 31. ულაყი; 32. ზებუ; 33. დანდური; 34. პანდა; 35. კელა; 36. ადა; 37. ასტონ; 38. საბო; 39. ლაიკა; 40. მაო; 41. იონია; 42. ტოკაი; 43. ტრანსი; 44. იოფე; 45. ლილუ; 46. იარა; 47. პლისე; 48. სე; 49. ემალი; 50. ტილ; 51. „ტაიმსი“; 52. კიტო; 53. ბელადი; 54. მისია; 55. „კურიერი“; 56. მოინი; 57. ბერა; 58. კანბერა; 59. კაა; 60. სოფა; 61. ლა; 62. კანტატა; 63. სინდიყი; 64. ალენ; 65. ალაია.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.